186
1990

ISSN—0132—4241

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.650

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერ-დეკემბერი 1990 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

301. საქართველოს სამეურნეო ორგანიზაციათა საწარმოო-კომერციული ასოციაცია „სსკას“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

302. საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

303. საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ შექმნის შესახებ.

304. საქართველოს ასტრონომიის მოყვარულთა ახალგაზრდული ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

305. საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

306. საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს სამეცნიერო საწარმოო-სამონტაჟო გაერთიანებად — სსსგ „საქმონტაჟსპეცმშენად“ რეორგანიზაციის შესახებ.

307. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

308. სრულიად საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ საქართველო-ევროპის ფრანგულენოვანი ქვეყნების ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

309. კონცერნ „საქართველოს“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

310. მშვიდობის საბჭოთა ფონდის საქართველოს განყოფილების ასოციაცია „სამთავროს“ რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს ეროვნული

311 სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“ შექმნისა და მისი წესდების რეგისტრაციის შესახებ.

312. საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნ „ქართული კონსერვის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

313. საქართველოს სუვერენიტეტის გლობალურ პრობლემათა კვლევის კონსორციუმის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

314. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული კავშირების განვითარების ასოციაცია „საქართველო 90-ის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

315. საქართველოს საერთაშორისო ბიზნესის ასოციაცია „საბას“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

316. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების სამეურნეო ასოციაცია „დიდგორის“ წესდების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

317. საქართველოს სპორტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

318. საქართველო-ისრაელის საქმიანი წრეების ურთიერთობათა ხელშემწყობი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ასოციაცია „სიონი-XXI“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

319. საქართველოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის „ისინდის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.

320. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის“ შექმნის შესახებ.

321. დათო ლაბარტყავას სახელობის სისხლის სისტემის დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის საქველმოქმედო ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

322. სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

323. სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრისა და ასოციაცია „სამართალი“-ს შექმნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

324. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის № 884 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

325. სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

326. სტატისტიკური ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების ცვლილებათა შესახებ.

327. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოების — გაზეთების „ახალი საქართველოს“, „სახალხო განათლებისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რეგისტრაციის შესახებ.

328. ქალაქ თბილისში გაერთიანებული ერების ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (იუნიდოს) წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

329. საქართველო-ევროპის ფრანგულენოვანი ქვეყნების ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

330. გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ახალი საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

331. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის № 495 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
332. გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ.
333. საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახელწოდების შეცვლის შესახებ.
334. საბითუმო ფასებისა და ტარიფების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ.
335. საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნეს“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
336. საქველმოქმედო ფონდის „საქართველო, საქართველო“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
337. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელი ბინებისა და აგარაკების თვითნებურად დაკავების აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ.
338. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან გაერთიანების შესახებ.
339. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.
340. გაზეთების „ვრასტანის“, „გურჯისტანის“ და ჟურნალ „ეკონომისტის“ რეგისტრაციის შესახებ.
341. საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
342. გაზეთ „ვესტნიკ გრუზიის“ დაარსებისა და რეგისტრაციის შესახებ.
343. სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების საკითხის მოწესრიგების შესახებ.
344. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს რესპუბლიკურ-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“ გარდაქმნის შესახებ.
345. ჟურნალ „პოლიტიკის“ რეგისტრაციის შესახებ.
346. გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რეგისტრაციის შესახებ.
347. საქართველოს ჰომეოპატთა საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ.
348. სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ.
349. სრულიად საქართველოს შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნების“ წესდების რეგისტრაციის შესახებ.
350. მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდთან არსებული სამრეწველო-აგრარულ-კომერციული ასოციაციის „თბილისი-90“-ის წესდების რეგისტრაციის შესახებ.
351. გაზეთ „სარანგის“ რეგისტრაციის შესახებ.
352. დამოუკიდებელი „ქალთა გაზეთის“ რეგისტრაციის შესახებ.
353. გაზეთ „ცხოვრების“ რეგისტრაციის შესახებ.

301 საქართველოს სამეურნეო ორგანიზაციათა საწარმოო-კომერციული ასოციაცია „სსკას“ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სამეურნეო ორგანიზაციათა საწარმოო-კომერციული ასოციაცია „სსკას“ გამგეობის თხოვნა ასოციაციის სახელწოდების შეცვლის შესახებ და აღნიშნულ ასოციაციას შემდგომში ეწოდოს „საქართველოს ეროვნული სამრეწველო ასოციაცია „ქართული სახლი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 660

302 საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 661

303 საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს წინადადება და შეიქმნას საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა“.

2. დამტკიცდეს საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ წესდება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი ბრუნვის გადასახადებისა და მოგების გეგმებში.

4. საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზას“ არსებული წესით გადაეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საბიუჯეტო და საგზაო ფონდის სახსრები, სხვა ასიგნებანი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების საპროექტო, სამშენებლო, სარემონტო და მოვლა-შენახვის სამუშაოთა დასაფინანსებლად, აგრეთვე ქონება და კავშირგაბმულობის საშუალებები. საარქივო და სხვა დოკუმენტები 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამოუყონ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზას“ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მექანიზმები კაპიტალური მშენებლობის, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო სამუშაოებისა და საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის, ცენტრალიზებულად გასანაწილებელი ნომენკლატურის მიხედვით.

6. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზასთან“, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ცვლილებათა შეტანისა და მათი ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 662

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 1 ნოემბრის № 662
დადგენილებით

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა“ (შემდგომში „კონცერნი“) განაგებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებს.

კონცერნი არის დამოუკიდებელი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი და რადიკალური ეკონომიკური რეფორმისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში თავის საქმიანობას წარმართავს სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობის პრინციპებზე, კონცერნის მონაწილეთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

2. კონცერნში გაერთიანებული არიან ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების და პროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკვეთებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოებს, აგრეთვე სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევითი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციები, საქართველოს საგზაო ფონდის კომერციული ბანკი „საქავტოგზაბანკი“ და სხვ.

კონცერნში ნებაყოფლობის საფუძველზე შეიძლება გაერთიანდნენ სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საიჯარო, შერეული, სააქციო, ერთობლივი საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კონცერნის მიზნებსა და ამოცანებს.

3. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებს და მოქმედებენ „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან დადონ მათი წესდებებით გათვალისწინებული ხელშეკრულებები გარეშე ორგანიზაციებთან და საწარმოებთან.

4. კონცერნსა და მასში გაერთიანებულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულებანი განისაზღვრება ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებებითა და ამ წესდებით.

5. კონცერნი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და დადებული ხელშეკრულებებით.

6. კონცერნი არის იურიდიული პირი, აქვს საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები ბანკში, დამოუკიდებელი და ნაერთი ბალანსები, ფლობს განცალკევებულ ქონებას, შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქო-

ნებრივი უფლებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

7. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო განვითარების, ეკონომიკური, საფინანსო, საინვესტიციო და საგარეო ეკონომიკური ფუნქციების ცენტრალიზაციის საფუძველზე.

8. სახელმწიფო, მისი ორგანოები და ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ კონცერნის ვალდებულებებზე, ასევე კონცერნი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ორგანიზაციების ვალდებულებებზე.

9. კონცერნს აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით, აგრეთვე თავისი ემბლემა.

კონცერნის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, გაგარინის ქუჩა № 29ა.

II. კონცერნის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

10. კონცერნის ძირითადი ამოცანაა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით საქართველოს საავტომობილო გზების სრულყოფა და განვითარება ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

11. კონცერნი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

— უზრუნველყოფს ერთიან ნორმატიულ-ტექნიკურ პოლიტიკას და კოორდინაციას უწევს რესპუბლიკის საგზაო ქსელის განვითარებას, ამუშავებს პროგრამებს დარგის განვითარებისა და სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის;

— ურთიერთმოქმედებს ხელისუფლებისა და მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებთან;

— აერთიანებს კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციების საფინანსო და სხვა რესურსებს მათი წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციისათვის;

— ახორციელებს კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემული ქონების მართვას;

— ხელს უწყობს მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების განვითარებას (საააქციო საზოგადოება, ერთობლივი საწარმო და სხვ.);

— მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო პროგრამების მომზადებაში;

— ახორციელებს საავტომობილო გზების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოთა ორგანიზაციას;

— იღებს და ანაწილებს სახელმწიფო შეკვეთებს და ბიუჯეტის ასიგნებას კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს შორის;

— ახდენს საავტომობილო გზების მშენებლობის, შეკეთების, მოვლა-შენახვის და სხვა სამუშაოებისათვის კონცერნისათვის გამოყოფილი ან მის მიერ

შეგროვილი, მოზიდული სახსრების გადანაწილებას, აკუმულირებას და ნაწილობრივ ცენტრალიზაციას;

— იცავს კონცერნის მონაწილეთა ინტერესებს სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წინაშე;

— გეგმავს თავის საწარმოო-საფინანსო საქმიანობას და საზღვრავს განვითარების პერსპექტივებს;

— ამუშავებს კონცერნის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების სტრატეგიას, ახორციელებს პროგრესული ტექნოლოგიის, კონსტრუქციების, მასალებისა და სამუშაოების წარმოების მეთოდების ათვისების გზების ძიებასა და შერჩევას, აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის იწვევს სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს;

— წარმართავს საქმიანობას მთლიანად კონცერნის და მასში გაერთიანებულ ორგანიზაციათა ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით;

— კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ეხმარება მათ პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობის რეალიზაციაში;

— ახორციელებს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას, მანქანა-დანადგარების, სათადარიგო ნაწილების, საშენი და სხვა მასალების, კონსტრუქციების და ნაკეთობების, სახალხო მოხმარების საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციებს დადგენილი წესის შესაბამისად;

— აანალიზებს საზღვარგარეთის ბაზრების კონიუნქტურას, აწარმოებს საზღვარგარეთის პარტნიორთა ძიებას და ავითარებს მათთან თანამშრომლობას;

— უზრუნველყოფს კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს საფინანსო-საკრედიტო, სამართლებრივი, ორგანიზაციული და სხვა მომსახურებით;

— ორგანიზაციას უწევს კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხელს უწყობს მოსამსახურეთა და მუშათა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

— ხელს უწყობს მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაჯანსაღებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა რეალიზაციას.

12. კონცერნს შეუძლია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს ბანკის კრედიტით, გამოუშვას აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, დადგენილი წესით მიავლინოს სპეციალისტები საზღვარგარეთ საკუთარი სავალუტო სახსრების ხარჯზე.

III. კონცერნის მართვა

13. კონცერნში გაერთიანებული საწარმო-ორგანიზაციების მართვა ხორციელდება დემოკრატიულ საფუძველზე.

კონცერნის მართვის უმაღლესი ორგანო არის კონცერნის საბჭო, რომელიც შედგება კონცერნში გაერთიანებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ აგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე მათი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებსაც ირჩევენ კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციების კრებებზე ან კონფერენციაზე (ამ წარმომადგენელთა ყოველწლიური როტაციით).

კონცერნის საბჭო:

— ამტკიცებს კონცერნის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებანი;

— განიხილავს და ამტკიცებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, მათი შესრულების ანგარიშებს და კონცერნის მუშაობის შედეგებს;

— ამტკიცებს კონცერნის რეზერვებისა და ფონდების ფორმირებისა და გამოყენების წესს;

— ამტკიცებს კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებისა და სახელშეკრულებო პირობებს;

— განიხილავს კომერციული ბანკის (საქავტოგზაბანკი) მუშაობის შედეგებს და განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

— იღებს გადაწყვეტილებებს მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად კონცერნის დამატებითი თანხების გამოყენების შესახებ;

— ამტკიცებს კონცერნის პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი აპარატის შენახვის სახსრების ოდენობას, აგრეთვე განსაზღვრავს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების შრომის ანაზღაურების პირობებს;

— განიხილავს კონცერნის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

14. კონცერნის საბჭო ალტერნატიულ საფუძველზე ირჩევს თავმჯდომარეს, პირველ მოადგილეს და მოადგილეებს 5 წლის ვადით, აგრეთვე პრეზიდიუმის წევრებს. კონცერნის თავმჯდომარეს და მოადგილეებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის წარდგინებით კონცერნის საბჭო ამტკიცებს კონცერნის პრეზიდიუმის შემადგენლობას.

კონცერნის საბჭოს იწვევს თავმჯდომარე აუცილებლობის შემთხვევაში, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ წელიწადში. საბჭოს რიგგარეშე სხდომებს მოიწვევენ კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციათა არანაკლები ერთი მესამედის მოთხოვნით.

კონცერნის საბჭო წევრების არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით იხილავს საკითხს თავმჯდომარის, პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და პრეზიდიუმის წევრების განთავისუფლების შესახებ.

კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით. ამ გადაწყვეტილებებს, აგრეთვე კონცერნის საბჭოს სხდომების ოქმებს, ხელს აწერს თავმჯდომარე (ან მისი შემცვლელი პირი) და ეგზავნება კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს.

15. კონცერნის საბჭო უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომები, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა, ამასთან მის წევრთა გადაწყვეტილებით საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობისათვის შეიძლება მოწვეულნი იქნენ დარგის სხვა სპეციალისტები, მეცნიერები, სახელმწიფო მართვის ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სხვა გარეშე ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენლები.

16. კონცერნის პრეზიდიუმი:

— უზრუნველყოფს კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— ახორციელებს კონცერნის საბჭოს სხდომებზე განსახილველი წინადადებებისა და საკითხების წინასწარ დამუშავებას;

— ქმნის კონცერნის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ მუდმივმოქმედ და დროებით სამუშაო კომისიებს, შემოქმედებით ჯგუფებს და სხვა ქვედანაყოფებსა და საწარმოებს;

— ხელმძღვანელობს კონცერნის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და გეგმების რეალიზაციას, მათ შესასრულებლად იღებს აუცილებელ ოპერატიულ ზომებს;

— ორგანიზაციას უწევს კონცერნის საქმიანობის პერსპექტიული პროგრამების შემუშავებას;

— უზრუნველყოფს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებას საავტომობილო გზებისა და მათზე ნაგებობათა დაპროექტებაში, მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-შენახვაში.

— ამტკიცებს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ცალკეულ სახეობათა განაწილებას კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციებისათვის ცენტრალიზებულად დაშვებული ლიმიტებისა და ფონდების შესაბამისად;

— იღებს გადაწყვეტილებებს კონცერნის ზარალის დაფარვის შესახებ, მათ შორის კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზარალის გამო;

ამტკიცებს:

ა) კონცერნის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს;

ბ) საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ნიშნავს თავმჯდომარე არსებული კანონის მიხედვით;

გ) ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კონცერნის გამგებლობაში მყოფი ქონების ეფექტიან გამოყენებას;

დ) კონცერნის აღმასრულებელი აპარატის რიცხოვნობასა და სტრუქტურას, მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდს და პირობებს;

განსაზღვრავს კონცერნში მიღების პირობებს და იღებს ახალ ორგანიზაციებს.

17. პრეზიდიუმის სხდომას იწვევს კონცერნის თავმჯდომარე აუცილებლობის მიხედვით. პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით. პრეზიდიუმის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. პრეზიდუმის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული დადგენილება შესასრულებლად აუცილებელია კონცერნში გაერთიანებული ყველა ორგანიზაციისათვის.

18. კონცერნის თავმჯდომარე:

— გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— უზრუნველყოფს კონცერნის საბჭოსა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს;

— განაგებს კონცერნის ქონებასა და სახსრებს, წარადგენს კონცერნს ნებისმიერ საბჭოთა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებსა და უწყებებში, კონცერნის სახელით დებს შეთანხმებებს, ხელშეკრულებებსა და კონტრაქტებს;

— საზღვრავს კონცერნის აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურას, ამტკიცებს აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების შტატებსა და დებულებებს, ხელმძღვანელობს აპარატის მიმდინარე მუშაობას კონცერნის საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

— კონტრაქტის საფუძველზე იღებს და ათავისუფლებს კონცერნის აპარატის მუშაკებს, ადგენს მათ თანამდებობრივ სარგოებსა და დანამატებს, ახდენს აპარატის მუშაკების წახალისებას და ადებს მათ დისციპლინურ სასჯელებს;

— ნიშნავს და ათავისუფლებს კონცერნში გაერთიანებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არსებული კანონის მიხედვით;

— ამტკიცებს კონცერნის აპარატისა და საწარმოთა ხელმძღვანელ მუშაკთა მატერიალური სტიმულირების ოდენობას კონცერნის ცენტრალიზებული ფონდიდან.

19. კონცერნისა და მისი მონაწილეების აღმასრულებელი ორგანოების შენახვა ხორციელდება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და საგზაო ნაგებობათა შეკეთებისა და მოვლა-შენახვისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე.

IV. კონცერნის ქონება და სახსრები

20. კონცერნის ქონება შედგება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, აგრეთვე სხვა ფასეულობისაგან, რომელთა ღირებულება აისახება კონცერნის დამოუკიდებელ ბალანსში.

კონცერნის მონაწილეებს შეაქვთ შესასვლელი და მიზნობრივი შესატანები საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მიზნობრივი შესატანის ოდენობას (კონცერნის ფონდში და სხვა მიზნებისათვის), მისი გამოყენებისა და დაბრუნების წესს განსაზღვრავს კონცერნის საბჭო.

21. კონცერნის ქონება იქმნება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

— კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციათა მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე გაცემული და კონცერნის სრულ სამეურნეო გამგებლობაში მყოფი ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებით;

— კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციათა ფულადი შენატანებით;

— პროდუქციის რეალიზაციის, შესრულებულ სამუშაოთა, გაწეული მომსახურებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეობათა შედეგად მიღებული შემოსავლებით, აგრეთვე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათი რეალიზაციით მიღებული შემოსავლებით;

— ბანკის კრედიტებით;

— კაპიტალური დაბანდებით, ბიუჯეტის დოტაციით და საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების შეკეთებისა და მოვლა-შენახვისათვის გათვალისწინებული სახსრებით;

— კანონით ნებადართული სხვა წყაროებით;

კონცერნის სახსრები გაიზრდება მასში გაერთიანებულ ორგანიზაციათა მიერ გარეშე ორგანიზაციებისათვის შესრულებულ სამუშაოთა, მომსახურებისა და წარმოებული პროდუქციის წლიური მოცულობის შესაბამისად.

22. კონცერნი ქმნის შემდეგ ფონდებს:

— წარმოების გაფართოების;

— სოციალური განვითარების;

— მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების;

— მატერიალური წახალისებისა და ხელფასის;

— სადაზღვევო;

— სარეზერვო;

— სავალუტო;

— გზის;

კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სხვა ფონდებიც.

კონცერნის ქონებაზე მისი მონაწილეები არ ფლობენ განცალკევებულ უფლებას.

23. კონცერნის სახსრები არსებული წესით გამოიყენება სამუშაოთა ცენტრალიზებული დაფინანსების, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ქსელის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განვითარების, კონცერნის საწარმოო ბაზებისა და სოციალური განვითარების, ახალი საწარმოების შექმნისა და აგრეთვე კონცერნის აღმასრულებელი აპარატის შენახვის ხარჯებისათვის.

კონცერნის სავალუტო სახსრები გამოიყენება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად კონცერნის მიერ დადგენილი წესით.

V. კონცერნის უფლებები

24. კონცერნს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით:

— დამოუკიდებლად გადაწყვიტოს კონცერნში გაერთიანებული საწარმო-ორგანიზაციების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხები;

— იჯარით გასცეს საქართველოს საგზაო დარგის სახელმწფო საწარმოები და სხვა სახელმწიფო ქონება;

— დაამტკიცოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და გაანგარიშება, გზებისა და საგზაო ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები და თემატური გეგმები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები და ნორმატიული დოკუმენტაციები, დანიშნოს დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების სახელმწიფო კომისიები და დაამტკიცოს მათი აქტები;

— შექმნას სამეურნეოანგარიშიანი ფირმები, ცენტრები, შემოქმედებითი ლაბორატორიები, დროებითი შრომითი კოლექტივები, კომერციული ბანკები და ქვედანაყოფები კონცერნის მონაწილეთათვის კომერციული; საგარეო ეკონომიკური, საფინანსო, საინფორმაციო, იურიდიული მომსახურების გასაწევად, აგრეთვე შექმნას ერთობლივი საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ფირმებთან ერთად;

— ჩაატაროს კომერციული და სარეკლამო გამოფენები, ბაზრობები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, გასწიოს კონცერნის მონაწილეთა პროდუქციის მომსახურებისა და შესრულებულ სამუშაოთა რეკლამა;

— თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს ბანკის კრედიტებით;

— დამოუკიდებლად განახორციელოს ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები და სხვა საგარეო ეკონომიკური საქმიანობა;

— გამოუშვას აქციები, ფასიანი ქაღალდები, დამოუკიდებლად გავიდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;

— განიხილოს კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილი სამეურნეო დავა;

— განახორციელოს გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდმფლობელის ფუნქცია.

25. შემოსავალი, რომელიც რჩება კონცერნის განკარგულებაში ბიუჯეტში გადასახადების, ბეგარისა და ბანკის კრედიტზე პროცენტის გადახდის შემდეგ, კონცერნის მიერ ნაწილდება დამოუკიდებლად.

26. კონცერნი აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას სახელმწიფო საწარმოებისათვის დადგენილი წესით.

27. კონცერნი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის იმ საკითხებზე, რომლებიც სცილდება თავისი კომპეტენციის ფარგლებს, ურთიერთმოქმედებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, დადგენილი წესით.

VI. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები და მათი უფლება-მოვალეობანი

28. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები ვალდებული არიან დაიცვან ეს წესდება, მიიღონ მონაწილეობა მის საქმიანობაში, შეასრულონ კონცერნისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები.

29. კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულება განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.

კონცერნის მონაწილეები თავს იკავებენ იმ ქმედებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია ზარალი მიაყენოს კონცერნს ან მასში შემავალ სხვა ორგანიზაციებს.

30. კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ:

— დამოუკიდებლად დაამუშაონ და დაამტკიცონ საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმები;

— დადგენილი წესით დაამტკიცონ საკუთარი საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, განახორციელონ მათი მშენებლობის კონტროლი;

— კონცერნის მიერ დამტკიცებული წესით გადასცეს, გაჰყიდოს, გაცვალოს, მისცეს იჯარით, გააქირავოს ნაგებობანი, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

31. კონცერნთან დადებული ხელშეკრულებისა და ამ წესდების შესაბამისად კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ:

— ხელმძღვანელი ორგანოების განსახილველად შეიტანონ წინადადებები იმ საკითხებზე, რომლებიც კონცერნის კომპეტენციაში შედიან, მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში;

— ისარგებლონ კონცერნისა და მის მიერ შექმნილი სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების (ცენტრების) მომსახურების უპირატესი უფლებით;

— ისარგებლონ კონცერნის ემბლემით თავის დასახელებაში და მიუთითონ მისი კონცერნის კუთვნილებაზე;

— მიიღონ მონაცემები და ცნობები კონცერნის საქმიანობის შესახებ.

32. კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კონცერნის შემადგენლობიდან კონცერნის საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

VII. კონცერნის ლიკვიდაციის წესი

33. კონცერნის ლიკვიდაცია ხდება კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციათა გადაწყვეტილებით და აგრეთვე კანონით დადგენილ შემთხვევაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

კონცერნის საბჭო ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წყვეტს ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

304 საქართველოს ასტრონომიის მოყვარულთა ახალგაზრდული ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ასტრონომიის მოყვარულთა ახალგაზრდული ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 665

305 საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 666

306 საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს სამეცნიერო საწარმოო-სამონტაჟო გაერთიანებად — სსსგ „საქმონტაჟსპეცმშენად“ რეორგანიზაციის შესახებ

„სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 1 ივნისის № 700 დადგენილებისა და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო სამეცნიერო საწარმოო-სამონტაჟო გაერთიანებად სსსგ „საქმონტაჟსპეცმშენი“ და მიენიჭოს მას საწარმოს სტატუსი.

2. დამტკიცდეს წარმოდგენილი დარგის მართვის სქემა, დანართის თანახმად, და დაევალოს სამეცნიერო საწარმოო სამონტაჟო გაერთიანებას სსსგ „საქმონტაჟსპეცმშენს“ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად გაერთიანების წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 667

19.650
საქართველ
ეროვნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 1 ნოემბრის № 667
დადგენილებით

ს ქ ე მ ა

სამეცნიერო საწარმოო-სამონტაჟო გაერთიანების სსსგ „საქმონტაჟსპეცმშენის“ საწარმოო ერთეულების ქსელისა

სამონტაჟო სამმართველოები:

მექანომონტაჟი	ქ. თბილისი
ელექტრომონტაჟი	ქ. თბილისი
სანტექმონტაჟი	ქ. თბილისი
მრეწვგამართვა	ქ. თბილისი
მრეწვვენტილაცია	ქ. თბილისი
მონტაჟთერმონაკეთობა	ქ. თბილისი
მრეწვკავშირმონტაჟი	ქ. თბილისი
თბომშენი	ქ. თბილისი
ფოლადკონსტრუქცია	ქ. თბილისი
ვენტშეკეთება	ქ. თბილისი
სპეცმსუბუქკონსტრუქცია	ქ. თბილისი
სპეცჰელიოთბომონტაჟი	ქ. თბილისი
ალუმინმონტაჟი	ქ. თბილისი
მონტაჟავტომატიკა	ქ. თბილისი
სამშენებლო-სარემონტო სამმართველო	ქ. თბილისი
მექანიზაციის სამმართველო	ქ. თბილისი
მექანომონტაჟი	ქ. რუსთავი
ელექტრომონტაჟი	ქ. რუსთავი
ფოლადკონსტრუქცია	ქ. რუსთავი
მექანომონტაჟი	ქ. ქუთაისი
ელექტრომონტაჟი	ქ. ქუთაისი
ფოლადკონსტრუქცია	ქ. ქუთაისი
ელექტრომონტაჟი	ქ. სოხუმი
მექანომონტაჟი	ქ. ბათუმი

ქარხნები:

სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხანა	ქ. თბილისი
სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხანა	გარდაბანი
სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხანა	ქ. რუსთავი
სავენტილაციო ნაკეთობათა ქარხანა	ქ. რუსთავი
მსუბუქი ლითონკონსტრუქციების ქარხანა	ქ. თბილისი

— — — — —

ეროვნული ბიბლიოთეკა

307 საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 671

308 სრულიად საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად რეგისტრირებულ იქნეს „სრულიად საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოების“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 672

309 კონცერნ „საქართველოს“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს კონცერნ „საქართველოს“ გამგეობის წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს მისი წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 2 ნოემბერი, № 674

310 მშვიდობის საბჭოთა ფონდის საქართველოს განყოფილების ასოციაცია „სამთავროს“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს მშვიდობის საბჭოთა ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების წინადადება და რეგისტრირებულ იქნეს მასთან შექმნილი ასოციაცია „სამთავროს“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 2 ნოემბერი, № 677

311 სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“ შექმნისა და მისი წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს 1990 წლის 17 სექტემბრის გაერთიანება „საქკურორტის“ სისტემის დამფუძნებელი კრების დადგენილება აღნიშნული გაერთიანების ბაზაზე სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“ შექმნის შესახებ.

2. რეგისტრირებულ იქნეს სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“ წესდება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანოს სათანადო ცვლილებანი ბრუნვის გადასახადებისა და მოგების გეგმებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 5 ნოემბერი, № 680

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 5 ნოემბრის № 680
დადგენილებით

სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“

წ ე ს დ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. სახელმწიფო კონცერნი „საქკურორტი“ (შემდგომში „კონცერნი“) არის სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების ეროვნული ინტერესების პრიორიტეტის პრინციპებზე დამყარებული მრავალდარგოვანი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. კონცერნის მიზანია საქართველოს საკურორტო მეურნეობის კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა.

კონცერნი ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და საზღვარგარეთის ფირმებს (შემდგომში „წევრებს“), რომლებიც თავიანთ ერთობლივ საწარმოო და სოციალური განვითარების, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ, საინვესტიციო, კომერციულ, საფინანსო და სხვა სახის საქმიანობას წარმართავენ საკუთარი და საერთო ინტერესების გათვალისწინებით, რისთვისაც ქმნიან მმართველობის შესაბამის აპარატს.

კონცერნი იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ სისტემაში შემავალი ობიექტების ბაზაზე. კონცერნის დამფუძნებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხა და რეკვიზიტები წესდებას თან ერთვის.

კონცერნი არის სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციების და კოოპერატივების თავისუფალი გაერთიანება. მომავალში მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან განხორციელდება სახელმწიფო შეკვეთების, ფასებისა და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით.

კონცერნი, როგორც ნებაყოფლობითი გაერთიანება, ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებსაც მას გადასცემენ საწარმო-ორგანიზაციები და კოოპერატივები სამეურნეოანგარიშიანობის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პირობებში.

კონცერნი არის იურიდიული პირი, ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშსწორების ანგარიში (მათ შორის სავალუტო), რომლითაც აწარმოებს ანგარიშსწორებას მიმწოდებლებთან, შემკვეთებთან, სახელმწიფო ბიუჯეტთან და კონცერნის წევრებთან. მას აქვს აგრეთვე საკუთარი ბალანსი, უფლებამოსილია ბანკიდან მიიღოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტი.

კონცერნის ურთიერთობა თავის წევრებთან რეგულირდება სახელშეკრულებო პირობებით.

1.3. კონცერნის წევრები კონცერნის მართვის ორგანოებს ნებაყოფლობით საფუძველზე გადასცემენ შემდეგ ფუნქციებს:

ა) კონცერნის საწესდებო ფონდის საფუძველზე კონცერნის საერთო ინტერესების გამომხატველი ახალი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნა;

ბ) საგარეო ეკონომიკური, სავაჭრო და მომსახურების (საკურორტო) საქმიანობის ცენტრალიზაცია;

გ) სახელმწიფო შეკვეთის გადამეტებით წარმოებულ პროდუქციაზე (მომსახურება) ერთიანი კომერციული ფასების განსაზღვრა;

დ) ერთიანი საფინანსო პოლიტიკის განხორციელება;

ე) ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება წევრების წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის გარკვეული ნაწილის ცენტრალიზაციის გზით. შესაბამის ნორმატივს განსაზღვრავს საბჭო.

1.4. კონცერნის ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისაგან (რომლებიც ქმნიან საწესდებო ფონდს) და სხვა ფონდებისაგან. საწესდებო ფონდი იქმნება კონცერნის წევრების არსებული საწესდებო ფონდებისა და ახალი წევრების საპაიო შენატანების ხარჯზე.

კონცერნის საწესდებო ფონდში თითოეულ წევრს შეაქვს თავისი საპაიო შესატანი. თითოეული წევრის საპაიო შესატანი განსაზღვრულია კონცერნის დამფუძნებელთა ხელშეკრულებით.

საწესდებო ფონდი შეიძლება გაიზარდოს კონცერნის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ხარჯზე. აგრეთვე — ახალ წევრთა საპაიო შენატანით. საწესდებო ფონდის საფუძველზე შექმნილი ქონება კონცერნის საერთო საკუთრებაა.

1.5. კონცერნს საკუთრების ამ სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ქონება.

კონცერნს შეუძლია სხვა საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან და უწყებებისაგან იჯარით აიღოს სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების ობიექტები და აგრეთვე — მოქალაქეთა ქონება.

კონცერნის საერთო საკუთრებაში მყოფი ქონებით სარგებლობის შედეგად მიღებული პროდუქცია და მოგება (შემოსავალი) კონცერნის საერთო საკუთრებაა. კონცერნის წევრთა წილი მიღებულ მოგებაში განისაზღვრება მათ მიერ კონცერნისათვის გადაცემული ფულადი სახსრების და ქონების ხვედრითი წილის პროპორციულად.

1.6. კონცერნს უფლება აქვს, დადგენილი წესით, გამოიყენოს მეურნეობრიობის უახლესი მეთოდები: დანერგოს სრული სამეურნეო ანგარიშის მისთვის მისაღები მოდელი, გამოიყენოს იჯარის მეთოდი, ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, შექმნას სააქციო საზოგადოება, ეკონომიკურ ურთიერთობაში შევიდეს საზღვარგარეთის ფირმებთან და შექმნას ერთობლივი საწარმოები და სხვ. იგი საჭიროების შემთხვევაში ქმნის ახალ საწარმოებს, საამქროებს, ახალ სამშენებლო ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს, კომერციულ ბანკს, კომერციულ ცენტრს, საფირმო მაღაზიებს და სხვ.

1.7. წევრებს, აგრეთვე კონცერნსა და წევრებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდება სრული სამეურნეოანგარიშიანობის პრინციპების გათვალისწინებით, მიწოდებული პროდუქციის, შესრულებულ სამუშაოთა ან გაწეული მომსახურების ურთიერთანაზღაურების საფუძველზე, რაც სათანადო ხელშეკრულებით ფორმდება.

ამავე დროს წევრები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ერთმანეთის ეკონომიკურ ინტერესებს.

1.8. კონცერნს შეუძლია ნებაყოფლობის საფუძველზე შეასრულოს სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული საკურორტო მომსახურების, საქონელბრუნვის პროდუქციის წარმოების ან სხვა სამუშაოთა დავალებები, რაც სათანადო ხელშეკრულებით ფორმდება. შემკვეთი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება იყოს სახელმწიფო უწყება, პირველ რიგში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახელმწიფო შეკვეთა აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მატერიალური რესურსების ფონდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონცერნს შეუძლია უარი თქვას შეკვეთაზე.

კონცერნი სახელმწიფო შეკვეთის გადამეტებით წარმოებულ პროდუქციას პყიდის საფირმო მაღაზიებში, ხოლო სახელმწიფო საწარმოებს, კოოპერატივებსა და მოსახლეობას მომსახურებას უწევს თავისი შეხედულებით, კონცერნის საბჭოს მიერ დადგენილი კომერციული ფასებით, და სხვ.

1.9. სახელმწიფოს მიერ კონცერნის ქონების ჩამორთმევა არ დაიშვება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც იგი ხორციელდება საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების დადგენილ საფუძველზე და წესით, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ჩამორთმეულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებით. სხვადასხვა ორგანოების აქტები, რომლებიც კონცერნის უფლებებს ლახავენ თავისი საკუთრების ობიექტებზე, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს. მიყენებული ზარალი ანაზღაურდება დადგენილი წესით.

კონცერნის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება იმ საწარმოებს, ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მასში შედიოდნენ და თავიანთი ქონება და ფულადი სახსრები შეიტანეს კონცერნში.

1.10. კონცერნი პასუხს აგებს აღებულ ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს კონცერნის ვალდებულებებზე, ხოლო კონცერნი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის.

1.11. კონცერნი იურიდიული პირის უფლებას იძენს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რეგისტრაციის შემდეგ.

2. კონცერნის ამოცანები, ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

2.1. კონცერნის ძირითადი ამოცანებია: რესპუბლიკის მოსახლეობის გაჯანსაღება, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, პროფილაქტიკის რეაბილიტაციისა და დასვენების ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფა; საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორტო მეურნეობის შემდგომი გაფართოება, ამ დარგში არსებული მოწინავე ტექნოლოგიებისა და უახლეს ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემოტანა და დანერგვა; შრომითი, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების ოპტიმალური სტრუქტურების შექმნა, რეკრეაციული სამსახურის ეფექტიანობის ამაღლება, საკურორტო მშენებლობის ფართოდ გაშლა, სამკურნალო ტურიზმის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება და გადამუშავება, სამკურნალო ნინერალური წყლების ძიება, აღნიშნულ საბადოთა მოვლა-პატრონობა, ჩამოსხმა-რეალიზაცია; პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობათა საფუძველზე მოქმედი დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო სტრუქტურების განვითარება; მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

2.2. კონცერნი ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, ქმნის და აფინანსებს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდს, ქმნის დამხმარე მეურნეობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის.

კონცერნი მის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად თანამშრომლობს საწარმოებთან, გაერთიანებებთან, ორგანიზაციებთან, უწყებებთან, დაწესებულებებთან, კოოპერატივებთან, საზღვარგარეთის ფირმებთან, ერთობლივ საწარმოებთან და კერძო პირებთან.

2.3. კონცერნის ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობაზე, პროფილაქტიკასა და რეაბილიტაციაზე; სხვადასხვა სამედიცინო პროფილის საკურორტო დაწესებულებათა შემდგომი მშენებლობის მოცულობის განსაზღვრა და ამის საფუძველზე საქართველოს სსრ ადგილობრივი კურორტების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმების შედგენა;

— ავადმყოფთა და დამსვენებელთა როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული კონტინგენტისათვის ყოველგვარი სამედიცინო დახმარების მკურნალობისა და რეაბილიტაციის გაწევა. აგრეთვე დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნილებებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

— საკურორტო ფაქტორთა რაციონალური გამოყენება სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო მიზნით. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა გაჭუჭყიანებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევისაგან. კურორტების სანიტარიული ზონების შესახებ კანონმდებლობის მკაცრი დაცვა.

საქართველოს ეროვნული საკურორტო კანონმდებლობის პრინციპების შემუშავება და ბრძოლა მისი დაცვისათვის.

— სხვადასხვა სამედიცინო და გამაჯანსაღებელი პროფილის საკურორტო დაწესებულებათა დაპროექტება, მშენებლობა და კურორტების განვითარების დასაბუთებული პერსპექტიული გეგმების შედგენა;

— ახალი საკურორტო რესურსების (ჰიდრომინერალური და კლიმატური) გამოვლენა და არსებულის დაზუსტება;

— დასვენებისა და სამკურნალო ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნილებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

2.4. დასახული მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად კონცერნი:

— ეწევა როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო და სამშენებლო საქმიანობას;

— აწარმოებს თავის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ირგვლივ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის შეკრებას და ქმნის საინფორმაციო და ინოვაციურ ბანკს;

— აწარმოებს მარკეტინგს და სარეკლამო მომსახურებას, კომერციულ წინადადებათა შეგროვებას, მათ წინასწარ დამუშავებასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან ურთიერთშეთანხმებას, პარტნიორებთან ხელშეკრულებების, კონტრაქტების და გარიგებების მომზადებასა და დადებას, სარეკლამოსაგამომცემლო საქმიანობას; კონცერნის, მისი წევრების და სხვა საწარმოორგანიზაციების პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების, რეკლამის მიზნით საერთაშორისო გამოფენების მოწყობას;

— აბანდებს საკუთარ და მოზიდულ თანხებს ზემოხსენებული საქმიანობის განვითარებისათვის, დროებითი შემოქმედებითი კოლექტივების დაფინანსებისა და დამოუკიდებელ საწარმოთა შესაქმნელად;

— ასრულებს აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც პასუხობს მის მიზნებსა და ამოცანებს და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

2.5. კონცერნი მომსახურებას უწევს თავის წევრებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებს, უცხოეთის ფირმებსა და კერძო პირებს კომერციულ საფუძველზე, კონცერნის წევრები სარგებლობენ მომსახურების უპირატესი უფლებით.

3. კონცერნისა და მისი წევრების უფლება-მოვალეობანი

3.1. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში კონცერნს უფლება აქვს:

— თავის შემადგენლობაში შექმნას ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, საამქროები, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები, კომერციული ბანკი, კომერციული ცენტრი, სავაჭრო ბანკები, საფირმო მაღაზია და სხვა, რომლებიც მოემსახურებიან კონცერნს და მის წევრებს, აგრეთვე შეუძლია თავისი ფილიალები და წარმომადგენლობები გახსნას რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებში;

— გამოიყენოს მეურნეობრიობის უახლესი მეთოდები, დაამყაროს საიჯარო ურთიერთობები, დააარსოს სააქციო საზოგადოებები და თვითონ გახდეს სხვა სააქციო საზოგადოების წევრი.

კონცერნი საერთო კრების გადაწყვეტილებით გარდაქმნას სააქციო საზოგადოებად;

— შექმნას ერთობლივი საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ფირმების მონაწილეობით;

— შეისყიდოს ნედლეული და მასალები კოოპერატივებისაგან, მოსახლეობისაგან, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, საზღვარგარეთის ფირმებისაგან;

— კონცერნის წევრთა გადაწყვეტილებით ნაღდ ანგარიშზე შეისყიდოს საჭირო ნედლეული მოსახლეობისაგან;

— დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, შეთანხმებები, დაადგინოს სახელშეკრულებო ფასები მოქმედი ფასების კონიუნქტურის გათვალისწინებით;

— არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელოს ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები;

— წევრების თანხმობით კონცერნს შეუძლია მათი წარმოების განვითარების ფონდის სახსრების, მათ შორის, ძირითადი საწარმოო ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ანარიცხების ცენტრალიზაცია საპაიო შენატანების ფორმით;

— განახორციელოს გაცვლითი ოპერაციები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის ფირმებთან. ამასთანავე, განახორციელოს სახელმწიფო შეკვეთის ფარგლებში მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან გაცვლითი ოპერაციები სახელმწიფო ფასების მიხედვით, ხოლო სახელმწიფო ფასების დაკვეთის ზემოთ — კომერციული ფასებით;

— გახსნას ბანკში სავალუტო ანგარიში;

— გამოსყიდვის უფლებით იჯარით აიღოს ან თვითონ გასცეს იჯარით კუთვნილი ქონება: შენობები, ნაგებობები და სხვ.

— მონაწილეობა მიიღოს ან თვითონ ააშენოს საწარმოო და სოციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობანი;

— დამოუკიდებლად შეადგინოს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები;

— თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მართვის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელფასის და მატერიალური წახალისების ფონდების სიდიდე, შრომის ანაზღაურების წესი და თითოეული მუშაკის ხელფასი მათი შრომითი წვლილის გათვალისწინებით;

— მიიღოს სახელმწიფო შეკვეთა და გაანაწილოს კონცერნის წევრებს შორის:

— მოსახლეობას, კოოპერატივებს, სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს და აგრეთვე საზღვარგარეთის ორგანიზაციებს გაუწიოს მომსახურება და მიჰყიდოს პროდუქცია; შექმნას საფირმო მაღაზიები;

— კონცერნის წევრების თანხმობით განსაზღვროს კონცერნის ფონდები და რეზერვების ნორმატივები და აბსოლუტური თანხა;

— ბანკიდან მიიღოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტი და თვითონ გასცეს იგი სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ან თვითონ მიიღოს მათგან კრედიტი კომერციულ საფუძველზე;

— გაუწიოს საფინანსო და ეკონომიკური მხარდაჭერა კონცერნის წევრებს;

კონცერნში გაერთიანებული საწარმოებისა და ორგანიზაციების გაკოტრების შემთხვევაში კონცერნს მათი ქონების შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს.

3.2. დადგენილი წესის მიხედვით კონცერნი:

— საქმიან კონტაქტებს ამყარებს ისეთ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, ფირმებთან, კოოპერატივებთან, რომლებიც არ არიან კონცერნის წევრები, ახდენს მათთან გარიგებებს, დებს ხელშეკრულებებს და სხვა იურიდიულ აქტებს; აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ სხვა კომერციულ საქმიანობას (მათ შორის ბარტერული გაცვლა და სხვა ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები);

— იძენს ან იჯარით იღებს შენობა-ნაგებობებსა და საწარმოებს;

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობს მიწით, ტყით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, ჰიდრომინერალური და სხვა ბუნებრივი რესურსებით;

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სარეალიზაციოდ უშვებს ფასიან ქაღალდებს;

— შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს კონცერნში მომუშავე სპეციალისტებს საცხოვრებელი ფართობით კონცერნის სახსრებით აშენებულ ან შეძენილ საცხოვრებელ სახლებში;

— დადგენილი წესის მიხედვით საკუთარი სავალუტო საშუალებების ხარჯზე გზავნის სპეციალისტებს საზღვარგარეთ, იღებს საზღვარგარეთის ფირმებს, ორგანიზაციების დელეგაციებსა და წარმომადგენლებს.

3.3. კონცერნისა და მისი წევრების მიერ ლიცენზირებული პროდუქციის (სამუშაოები; მომსახურება) ექსპორტი და იმპორტი წარმოებს სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვით.

3.4. კონცერნს უფლება აქვს შექმნას ან შევიდეს გაერთიანებასა და ასოციაციებში, თუ ის პასუხობს თავის ინტერესებს.

3.5. კონცერნის წევრები შეიძლება იყვნენ საკურორტო, სანატორიული, სამკურნალო და სხვა დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სარეკლამო, სამშენებლო-სამონტაჟო, სატრანსპორტო, სამრეწველო საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, კოოპერატივები, უცხოეთის ფირმები, კერძო პირები, აგრეთვე სახელმწიფო და კომერციული (მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკები).

კონცერნში გაერთიანებისას მისი წევრები „საქკურორტის“ სისტემაში გაერთიანებული ორგანიზაციების გარდა ინარჩუნებენ უწყებრივი დაქვემდებარების სტატუსს.

3.6. კონცერნის თითოეული წევრი ყოველთვიურად იხდის საწევრო გადასახადს კონცერნის მმართველობითი აპარატის შესანახად, რომლის სტრუქტურას და შენახვის ხარჯებს განსაზღვრავს საბჭო. საწევრო შენატანის სიდიდე შემდეგი წესით განისაზღვრება: კონცერნის წევრი იხდის აპარატის შენახვის ხარჯების ნაწილს მის მიერ საწესდებო ფონდში შეტანილი თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად.

3.7. კონცერნის საწესდებო ფონდი შეიძლება შეივსოს მისი სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ხარჯზე, ქონების უსასყიდლოდ გადაცემით, ახალ წევრთა საპაიო შენატანებით, ბანკის კრედიტით, შემოწირულობებით, აქციების გაყიდვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწესდებო ფონდის საფუძველზე შექმნილი ქონება კონცერნის საერთო საკუთრებაა. მისი განკარგვის უფლება აქვს კონცერნის მართვის უმაღლეს ორგანოს — საერთო კრებას, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — კონცერნის საბჭოს.

კონცერნის წევრებს თავის წარმომადგენლების სახით უფლება აქვთ:

— მონაწილეობა მიიღონ კონცერნის ყველა შეკრებაზე, თათბირსა და სამუშაო სხდომაზე კენჭისყრის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღებაში;

— აირჩიონ და არჩეულ იქნენ კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოებში (დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა შეუძლიათ აირჩიონ კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს და სხვა წევრებს);

— კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოებში განსახილველად შეიტანონ სხვადასხვა საკითხი, მიიღონ მონაწილეობა მათ განხილვაში;

მონაწილეობა მიიღონ კონცერნის საერთო კრებაზე განსახილველი საკითხების კენჭისყრაში;

— მიიღონ საერთო საქმიანობიდან შემოსული მოგების ნაწილი;

— ისარგებლონ კონცერნის მომსახურებით პირველ რიგში.

კონცერნის მონაწილენი ვალდებულნი არიან:

— იხელმძღვანელონ კონცერნის მიზნებით და ამოცანებით;

— მონაწილეობა მიიღონ კონცერნის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ჩატარებულ ღონისძიებებში;

— მონაწილეობა მიიღონ კონცერნის ძირითადი და სპეციალური ფონდების შექმნაში.

კონცერნის წევრები ხელმძღვანელობენ რა ბაზრის მოთხოვნებით, დამოუკიდებლად:

— განსაზღვრავენ კონცერნის საწარმოთა საქმიანობის მიმართულებას;

— თავიანთ პროდუქციაზე (სამუშაოები, მომსახურება) მოთხოვნილების შესაბამისად შეიმუშავებენ საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებს და გეგმებს, მონაწილეობენ კონკურსში სახელმწიფო, მომხმარებელი, მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების შეკვეთების მისაღებად;

— საბითუმო ვაჭრობის წესის, მომწოდებლებთან პირდაპირი კავშირის, აგრეთვე სახელმწიფო შეკვეთების მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული უზრუნველყოფის წესის შესაბამისად სარგებლობენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით;

— კანონმდებლობისა და კონიუნქტურის შესაბამისად ადგენენ ფასს წარმოებულ პროდუქციაზე (სამუშაოები, მომსახურება).

3.8. კონცერნის წევრები იწარჩუნებენ კონცერნიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, წევრი გასულად ითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების შემდეგ.

კონცერნის წევრები არ კარგავენ საკუთრების უფლებას მათ მფლობელობაში მყოფ ქონებაზე და იწარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას იმ ფუნქციების გარდა, რომელიც ნებაყოფლობით გადასცეს კონცერნის მმართველობით ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერნიდან წევრის გასვლა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეურნეო ვალდებულებებისაგან (ხელშეკრულების მოქმედების ვადაში).

3.9. კონცერნის წევრები ვალდებული არიან:

— კონცერნის მართვის უმაღლესი ორგანოს — საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიტანონ დამატებითი საპაიო სახსრები კონცერნის საწესდებო ფონდში თავიანთი საფინანსო მდგომარეობის გათვალისწინებით;

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელიც კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებით ხორციელდება;

— დაიცვან კონცერნის საწარმოო, ტექნიკური და კომერციული საიდუმლოებანი;

— კონცერნის ხელმძღვანელი წევრის შეცვლისას მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები კონცერნის მიმართ იგივე რჩება.

3.10. კონცერნის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გარიცხულ იქნეს კონცერნიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კონცერნის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ იხდის საპაიო და საწევრო შენატანს ან იმ თანხას, რომელიც მის მიერ აღებული სახელშეკრულებო ვალდებულებებით გადახდას ექვემდებარება. კონცერნი პასუხს არ აგებს თავისი წევრების ვალდებულებების გამო. ასევე კონცერნის წევრები პასუხისმგებელნი არ არიან კონცერნის ვალდებულებებისათვის.

4. კონცერნის შემოსავალი და მისი განაწილება

4.1. კონცერნის მოგების წყაროა მის საკუთრებაში მყოფი ან იჯარით აღებული ქონების გამოყენებით, კომერციული საქმიანობით, ან წარმოებული პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგები. საბალანსო მოგებას შეადგენს საწარმოს მთელ ფულად ამონაგებსა და თვითღირებულებას შორის სხვაობა.

4.2. საბალანსო მოგება ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტს, კონცერნის წევრებსა და კონცერნის საკუთრებაში მყოფი საწარმო-ორგანიზაციების შრომითი კოლექტივის წევრებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც კონცერნს იჯარით აქვს აღებული ქონება, მოგების განსაზღვრული ნაწილი იჯარის გამცემის განკარგულებაში გადადის საიჯარო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.3. კონცერნი ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად უცხოური ვალუტის წარმოქმნას, განაწილებას და ხარჯვას ახდენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. კონცერნის საკუთრებაში მყოფი საწარმოს ფულადი ამონაგები, მათ შორის საბალანსო მოგება, წარმოიშობა რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგებიდან მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს გამოაკლდება ხელფასი, აგრეთვე მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯები (ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის ღირებულება, ამორტიზაციის ანარიცხები, სოცდაზღვევის ანარიცხები და საერთო საწარმოო ხარჯები). საბალანსო მო-

გებიდან საწარმო იხდის ბუნებრივი და შრომითი რესურსების გადასახდელს, ანარიცხებს ბიუჯეტში და ბანკის მოკლევადიანი კრედიტის პროცენტს. საბალანსო მოგების დარჩენილი ნაწილი შეადგენს საწარმოს საანგარიშო მოგებას.

საანგარიშო მოგებიდან საწარმო იხდის გადასახდელს კონცერნის სასარგებლოდ კონცერნის საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივის შესაბამისად.

ანარიცხები ბიუჯეტში, ბუნებრივი და შრომითი რესურსების გადასახდელი კონცერნის მიერ შექმნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადაიხდება ცენტრალიზებული წესით, კონცერნის ბუღალტერიის მეშვეობით.

საანგარიშო მოგების დარჩენილი ნაწილი ქმნის მოცემულ საწარმოში დასაქმებული შრომითი კოლექტივის ნაშთობრივ მოგებას.

ნაშთობრივი მოგებიდან იქმნება მოცემული საწარმოს შრომითი კოლექტივისათვის განკუთვნილი ფონდები: საფინანსო, სარეზერვო, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, სოციალური განვითარების და მატერიალური წახალისების.

კონცერნს უფლება აქვს მოახდინოს მისი საკუთარი საწარმოს, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ცენტრალიზაცია კონცერნის შესაბამის ფონდებში და გამოიყენოს საჭიროების შესაბამისად. ამასთანავე, კონცერნი ახორციელებს მის საკუთრებაში მყოფი საწარმოების ამორტიზაციის ანარიცხების ცენტრალიზაციას და საჭიროების მიხედვით გამოყენებას.

4.5. კონცერნის საკუთრებაში მყოფ საწარმოში მატერიალური წახალისების ფონდი ყალიბდება ნაშთობრივი მოგებიდან მას შემდეგ, რაც შეიქმნება ფინანსური რეზერვი, წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ფონდი და სოციალური განვითარების ფონდი.

4.6. საფინანსო, სარეზერვო, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების და სოციალური განვითარების ფონდების ნორმატივებს კონცერნის საკუთრებაში მყოფ საწარმოებში განსაზღვრავს კონცერნის საბჭო.

4.7. კონცერნის შემოსავლის ფონდში საკუთარი საწარმოებიდან მიღებული მოგების გარდა ჩაირიცხება კონცერნის წევრების მიერ გადახდილი საწევრო შესატანები, რომელიც დადგენილია ისეთი ზომით, რაც საკმარისია კონცერნის სამუშაო აპარატის შენახვისათვის.

კონცერნის წევრთა საპაიო და საწევრო შენატანები ბიუჯეტის მიერ არ იბეგრება.

კონცერნის საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული თანხების ხარჯზე ყალიბდება კონცერნის ფულადი შემოსავალი, რომელიც ქმნის კონცერნის მოგებას.

კონცერნის მოგების ერთი ნაწილის ხარჯზე ყალიბდება კონცერნის ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვები: კონცერნის ცენტრალიზებული საფინანსო რეზერვი, წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდი. ამ ფონდების ნორმატივებს კონცერნის საბჭო დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს და საჭიროების მიხედვით იყენებს.

კონცერნის მოგების მეორე ნაწილი არის წევრთა შემოსავლის ფონდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი იყოფა კონცერნის წევრ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს შორის კონცერნის საწესდებო ფონდში მათ მიერ შეტანილი ფულადი თანხის და ქონების ხვედრითი წილის პროპორციულად.

კონცერნის საფინანსო რეზერვი განკუთვნილია მის სამეურნეო საქმიანობაში წარმოშობილი ფინანსური სიძნელეების დასაძლევად და გამოიყენება კრიტიკულ სიტუაციაში. ფინანსური რეზერვების სახსრები შეიძლება მოხმარდეს კონცერნში გაერთიანებულ საწარმოებს და ორგანიზაციებს დაბრუნებად საფუძველზე.

4.8. კონცერნის წარმოების და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით:

— კონცერნის სისტემაში კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელება ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ასამოქმედებლად და მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის.

— სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დასაფინანსებლად;

— ახალი პროდუქციის წარმოების (მომსახურების) ათვისების პერიოდში გაზრდილი დანახარჯების საკომპენსაციოდ;

— კონცერნის მიერ აღებული ბანკის გრძელვადიანი კრედიტის დასაფარავად;

— ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

— მუშაკთა საბინაო და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

5. კონცერნის მართვა, შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება

5.1. კონცერნი დასახული ამოცანების შესასრულებლად ქმნის მართვის შემდეგ რგოლებს:

— მართვის უმაღლეს ორგანოს, რომლის საშუალებითაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობს კონცერნში გაერთიანებული ყველა საწარმო;

— მართვის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც ირჩევს მართვის უმაღლესი ორგანო, იგი ხელმძღვანელობს კონცერნის მიმდინარე საქმიანობას;

— აღმასრულებელ სამმართველო აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს მართვის უმაღლესი და აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებათა ოპერატიულ შესრულებას.

5.2. კონცერნის მართვის უმაღლესი ორგანო არის მასში გაერთიანებული საწარმოების წარმომადგენელთა საერთო კრება (შემდგომში „კრება"), რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. კრებებს შორის პერიოდში კონცერნს მართავს საბჭო. კრების მონაწილეთა შემადგენლობაში შედიან აგრეთვე კონცერნის წევრი საწარმოების და მათი შრომითი კოლექტივების საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკები.

რიგგარეშე კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ხმების უმრავლესობით.

კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

— კონცერნის წესდების მიღება და მასში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა;

— ახალი წევრების მიღება ან არსებული წევრების გარიცხვა კონცერნის შემადგენლობიდან;

— კონცერნის პერსპექტიული და წლიური გეგმების და მათი შესრულების ანგარიშგების განხილვა და დამტკიცება;

— კონცერნის ფონდების, მათი წარმოშობის წესისა და გამოყენების მიმართულების დამტკიცება;

— კონცერნის სამეურნეოანგარიშიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნის წინადადებათა განხილვა და დამტკიცება ან არსებულის ლიკვიდაცია;

— გადაწყვეტილებების მიღება კომერციული ბანკის და სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ;

— კონცერნის აღმასრულებელი ორგანოს (საბჭოს) და სარევიზიო კომისიის არჩევა;

— გადაწყვეტილების მიღება კონცერნის ლიკვიდაციის შესახებ;

— კრების გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად მისი წევრებისათვის და აღმასრულებელი აპარატისათვის, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ამ წესდებას და არსებულ კანონმდებლობას.

5.3. კრება ქმნის აღმასრულებელ ორგანოს — კონცერნის საბჭოს.

კონცერნის საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება როგორც შიგასამეურნეო, ისე გარე კავშირურთიერთობების ორგანიზაცია, საწარმოო, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური, კომერციული და საქმიანობის სხვა სფერო.

საბჭოში უნდა შედიოდეს კონცერნის თითოეული წევრის ერთი წარმომადგენელი მაინც. საბჭო თავის სხდომაზე ღია ან ფარული კენჭისყრით არჩევს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს (კონცერნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზიდენტი სპეციალობით უნდა იყოს ექიმი).

პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს ამტკიცებს საერთო კრება.

საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს პრეზიდენტის ან კონცერნის ნებისმიერი წევრის მოთხოვნით.

თუ საბჭოს რომელიმე წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მის მორიგ სხდომაზე, მას შეუძლია თავისი უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით გადასცეს თავის წარმომადგენელს.

კონცერნის საბჭო:

— ამტკიცებს საბჭოს სხდომების ჩატარების პროცედურას;

— ამტკიცებს კონცერნის საკუთრებაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

— ამტკიცებს კონცერნის შიგაურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმატიულ დოკუმენტებს;

— ქმნის დროებით ორგანოებს, რომელიც საჭიროა დასახული ამოცანების შესასრულებლად;

— ანაწილებს სახელმწიფო შეკვეთებს კონცერნის წევრთა შორის;

— კონცერნის მიზნების შესაბამისად ცალკეულ წევრებს აძლევს პროდუქციის წარმოების შეკვეთას;

— იღებს გადაწყვეტილებას კონცერნის ფონდებისა და რეზერვების ნორმატივების განსაზღვრის შესახებ;

— ანაწილებს კონცერნის მოგებას წევრებს შორის;

— იღებს გადაწყვეტილებას პროდუქციის გასაღების შესახებ და აწესებს ფასზე კომერციულ ფასებს.

5.4. საბჭო უფლებამოსილია კონცერნის პრეზიდენტს გადასაწყვეტად გადასცეს ცალკეული საკითხები, რომელიც საბჭოს კომპეტენციაში შედის.

5.5. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მონაწილეთა ხმების უმრავლესობის მიხედვით, ამასთანავე, სხდომაზე საბჭოს წევრების ორი მესამედი მაინც უნდა მონაწილეობდეს.

საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ძალა აქვს კონცერნის იმ წევრების მიმართაც, რომელთა წარმომადგენლებიც საბჭოს სხდომაზე არ მონაწილეობენ.

5.6. კონცერნის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობენ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები, რომლებიც ქმნიან მართვის აღმასრულებელ აპარატს. პრეზიდენტი შეიძლება ერთდროულად იყოს კონცერნის წევრი საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საბჭოს წინადადებით პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით დაკავებული თანამდებობის ახალი ვადით გაგრძელების უფლებით.

კონცერნის პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე, პასუხისმგებელია კონცერნის საქმიანობასა და მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

5.7. პრეზიდენტი:

— უზრუნველყოფს კონცერნის მიმდინარე და პრესპექტიული გეგმების შესრულებას;

— წარუდგენს საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშს კონცერნის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ;

— ნიშნავს კონცერნის მმართველობითი აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს და ათავისუფლებს მათ, განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ოდენობას და ფორმებს სოციალური სამართლიანობის დაცვის პირობით;

— შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს სპეციალისტებს;

— განსაზღვრავს თანამშრომელთა ხელფასის მომატების საკითხს;

— ახორციელებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და წარადგენს მათი შესრულების ანგარიშს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განაგებს კონცერნის ქონებას და ფულად სახსრებს საბჭოს მიერ დაწესებულ ფარგლებში;

— კონცერნის სახელით დებს ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს) და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;

— მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კონცერნს სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და უწყებებთან ურთიერთობის დროს კონცერნის საქმიანობის ყველა იმ საკითხის ფარგლებში, რომელიც ამ წესდებითაა განსაზღვრული,

— პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები კონცერნის საქმიანობის ყველა სხვა საკითხზე, რომელიც საბჭოს კომპეტენციაში არ შედის.

5.8. კონცერნის აღმასრულებელი აპარატია სპეციალური სამმართველო — ადმინისტრაციული ორგანო.

კონცერნის სამმართველო ადმინისტრაციული აპარატის სტრუქტურას და საშტატო ერთეულების ოდენობას განსაზღვრავს პრეზიდენტი კონცერნის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად;

კონცერნის სამმართველო აპარატის მუშაკები შეიძლება შეთავსებით მუშაობდნენ წევრ საწარმო-ორგანიზაციებში.

5.9. კონცერნის თანამშრომელთა მუშაობის და დასვენების რეჟიმი, მათი სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა რეგულირდება არსებული შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე.

კონცერნის წევრთა გადაწყვეტილებით აღმასრულებელი აპარატის ფუნქციები შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ წევრს.

5.10. კონცერნის სამმართველო-ადმინისტრაციული აპარატის შენახვის წლიურ ხარჯებს განსაზღვრავს და ამტკიცებს კონცერნის საბჭო.

პრეზიდენტის ბრძანებით ცალკეულ თანამშრომლებს მათი შრომითი წარმატებების შესაბამისად მიეცემათ ყოველკვარტალური პრემიები მატერიალური წახალისების ფონდის ფარგლებში, მაქსიმალური სიდიდის შეზღუდვის გარეშე.

6. კონცერნის სამეურნეო საქმიანობის რევიზია და კონტროლი

კონცერნის, მისი საწარმო-ორგანიზაციების და ფილიალების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს სარევიზიო კომისია.

კრება თავისი წევრებიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩევა კონცერნის რომელიმე წევრის ხელმძღვანელი. სარევიზიო კომისიაში შედის სამი წევრი 5 წლის უფლებამოსილების ვადით.

სარევიზიო კომისია თავის საქმიანობით პასუხს აგებს კრების და საბჭოს წინაშე, წარუდგენს მას ჩატარებული რევიზიის ანგარიშს და დასკვნას კონცერნის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წლიურ ანგარიშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კონცერნის ლიკვიდაცია

7.1. კონცერნის საქმიანობის ლიკვიდაცია ხორციელდება „სსრ კავშირის საწარმოს შესახებ“ კანონის შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

— კონცერნიდან მისი ყველა წევრის გასვლის შემთხვევაში;

— როდესაც მისი საქმიანობა არ შეესაბამება კონცერნის წესდებით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს;

— კონცერნი ვერ უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობას თვითდაფინანსების პრინციპებზე და გამოცხადდება გადახდისუუნაროდ;

— კონცერნის სადამფუძნებლო დოკუმენტები არ შესაბამება კანონმდებლობას.

7.2. კონცერნი კარგავს იურიდიული პირის უფლებას მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის დღიდან.

ცნობა კონცერნის ლიკვიდაციის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

7.3. კონცერნის ლიკვიდაცია ხორციელდება შემდეგი წესით:

საბჭო ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც საბჭოზე დასამტკიცებლად წარადგენს სალიკვიდაციო ბალანსს.

სალიკვიდაციო კომისიის შექმნის მომენტიდან:

— კონცერნის პრეზიდენტის უფლებამოსილება უქმდება;

— კონცერნის შემოსავლებით შექმნილი ქონება იყიდება;

— ქონება, რომელიც კონცერნს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით. მათ მფლობელებს უბრუნდებათ.

ქონების გაყიდვით მიღებული ფულადი შემოსავლები კრედიტორების მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ კონცერნის წევრთა შორის ნაწილდება საწესდებო ფონდში მათ მიერ შეტანილი ფულადი სახსრებისა და ქონების ხვედრითი წილის პროპორციულად.

8. დასკვნითი დებულება

კონცერნის მმართველობის აპარატის ადგილსამყოფელია: საქართველოს სსრ, 380007 ქ. თბილისი, გერგეთის 3.

საერთაშორისო ტელექსი: 212192 „თოლია“ სუ

ტელეფონები: 93-18-22, 98-24-83.

კონცერნს აქვს დადგენილი ფორმის შტამპი და მრგვალი ბეჭედი საკუთარი ემბლემისა და სახელწოდების აღნიშვნით.

312 საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნ „ქართული კონსერვის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნ „ქართული კონსერვის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 5 ნოემბერი, № 681

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 5 ნოემბრის № 681
დადგენილებით

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნის „ქართული კონსერვის“

წ ე ს დ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს საკონსერვო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნი „ქართული კონსერვი“ (შემდგომში „კონცერნი“) სრული ნებაყოფლობის საფუძველზე აერთიანებს დაინტერესებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ასრულებს მათ მიერ კონცერნისათვის ნებაყოფლობით გადაცემულ ფუნქციებს სამეცნიერო-ტექნიკურ, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკურ და სხვა სფეროში, აგრეთვე მონაწილე ორგანიზაციათა და საწარმოთა სამეურნეობათაშორისო მომსახურების სამუშაოებს.

კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები და საწარმოები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებს, მათ არ ეცვლებათ საკუთრების ფორმები. ისინი თავიანთ საქმიანობას ეწევიან მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

კონცერნი ურთიერთმოქმედებს სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან, აგრეთვე სხვა გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის საზღვარგარეთის ფირმებთან.

1.2. კონცერნი, როგორც ნებაყოფლობითი გაერთიანება, არის მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მაკოორდინირებელი ორგანო კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციების (საწარმოების) მიმართ იგი ასრულებს იმ ფუნქციებს და აქვს მათ მიმართ მხოლოდ ის უფლებამოსილებანი, რაც ამ ორგანიზაციებმა და საწარმოებმა ნებაყოფლობით გადასცეს მას. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები და საწარმოები ერთდროულად არ უნდა შედიოდნენ სხვა კონცერნის (ასოციაციის) ან კავშირის შემადგენლობაში.

შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და საწარმოების განცხადება კონცრენის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განიხილება კონცერნის საბჭოზე.

1.3. კონცერნის შემადგენლობაში შეიძლება გაერთიანდნენ სახელმწიფო, კოოპერაციული, იჯარული, სამეურნეობათაშორისო, ერთობლივი, აქციონერული ორგანიზაციები და საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი საწარმოები, აგრეთვე საპროექტო, საკონსტრუქტორო ოგანიზაციები და სამეცნიერო ან სხვა დაწესებულებები.

1.4. კონცერნი არის იურიდიული პირი, ფლობს საკუთარ ქონებას და გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაქონებრივი უფლებები, არის ქონების განმკარგულებელი, მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

1.5. კონცერნს დელეგირებული აქვს უფლება კონცერნში გაერთიანებულ საკონსერვო ქარხნებთან დადოს იჯარის ხელშეკრულება.

1.6. კონცერნს შეუძლია მასში გაერთიანებული საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების თანხმობით, საერთო ამოცანების შესასრულებლად განახორციელოს ფინანსური და სხვა რესურსების ცენტრალიზაცია იმ წესითა და პირობებით, რაც განსაზღვრულია კონცერნის წესდებით და რომელიც გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტთან ურთიერთობაზე.

1.7. კონცერნს გააჩნია მრგვალი ბეჭედი თავისი ემბლემის გამოსახულებით და სახელწოდებით, რომლითაც სარგებლობს კონცერნის მართვის აპარატი.

1.8. კონცერნის ადგილსამყოფელია: საქართველოს სსრ, ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 170.

2. კონცერნის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

2.1. კონცერნის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა:

კონსერვების გამოშვების გაზრდა, სახელმწიფო დაკვეთების შესრულება და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გაერთიანებულ საწარმოთა განვითარების ნაერთი მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების დამუშავება, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ახალი სახის პროდუქციის წარმოებაში დანერგვის ორგანიზაცია, საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზუნველყოფა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ერთობლივ საწარმოთა შექმნა უცხოეთის ფირმებთან.

ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ბიოლოგიური ღირსებებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების კვების ახალი პროდუქტების შემუშავება და წარმოება ადგილობრივი რესურსებისა და დარგში წარმოქმნილი სამრეწველო ნარჩენებისაგან.

2.2. კონცერნი თავისი წესდებით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების შესასრულებლად ახორციელებს:

კონცერნის მონაწილეთათვის — მეურნეობრიობისა და კომერციული საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შესწავლას, შემუშავებას და დანერგვას ეკონომიკური დაინტერესების და ორმხრივი პასუხისმგებლობის პრინციპებზე, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომ განვითარებას, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ყოველმხრივ გამოყენებას, შრომითი კოლექტივებისათვის ინიციატივის და მეწარმეობრივი თაოსნობის გამოვლენის პირობების შექმნას. კადრების შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების სრულყოფას, შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების პრობლემების მოგვარებას.

სამუშაოების მაღალრენტაბელურად წარმართვისათვის ქმნის მართვის ხელსაყრელ ორგანიზაციულ წყობას გაერთიანებული ორგანიზაციებისა და

საწარმოების მიერ მისთვის ნებაყოფლობით გადაცემულ უფლებამოსილებისა და ფუნქციების საფუძველზე.

კონცერნისადმი გადაცემული უფლებამოსილებასა და ფუნქციებთან ერთად, გაერთიანებული ორგანიზაციები (საწარმოები), გადასცემენ მას მათი ინტერესების წარდგენისა და დაცვის უფლებას, სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების წინაშე და აგრეთვე სახელმწიფო შეკვეთების განლაგების და ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი მატერიალური რესურსების და კაპიტალური დაბანდების მიღების, განაწილების და ა. შ. საკითხებს.

კონცერნი გაერთიანებული ქარხნების საწარმოო და საფინანსო საქმიანობის და მათი განვითარების პერსპექტივას განსაზღვრავს მასში გაერთიანებული ორგანიზაციების (საწარმოების) მიერ დამოუკიდებლად შემუშავებული გეგმების, დადებული სამეურნეო ხელშეკრულებების, აგრეთვე ერთობლივი საქმიანობის პროგრამის საფუძველზე.

სახელმწიფო დაკვეთის მოცულობის შესაბამისად კონცერნი ეხმარება და კოორდინაციას უწევს ქარხნებს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა გაფორმების საქმეში, ხელს უწყობს მათ სახელმწიფო დაკვეთით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვებაში ასორტიმენტისა და რაოდენობის მიხედვით, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების დავალების შესრულებაში, უწევს კვალიფიციურ კონსულტაციებს და გასცემს რეკომენდაციებს ფინანსური, ეკონომიკური და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების, ნედლეულის რაციონალურად გამოყენებისა და ასორტიმენტის გაფართოების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და ხარისხის ამაღლების საქმეში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მზა პროდუქციის ხარისხის დაცვისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს,

საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით კონცერნი და მისი მონაწილენი დადგენილი წესით აწარმოებენ ხილბოსტნეულისა და ციტრუსების დამზადება-შესყიდვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ სახელმწიფო, საიჯარო, ფერმერულ (გლეხურ) და კერძო სექტორში. ხილბოსტნეულის ნედლეულის შესყიდვა-დამზადების მოცულობას განსაზღვრავს კონცერნის საბჭო მონაწილეთა წლიური საწარმოო პროგრამის მიხედვით, რომელიც წარედგინება საქსახაგრომრეწვს ხილბოსტნეულის რესურსების გამოყენების გეგმაში შესატანად მისი შემდგომში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დამტკიცების მიზნით.

ხილბოსტნეულის კონსერვებზე კონიუნქტურის შესაბამისად მყიდველ ორგანიზაციებთან შეთანხმებით კონცერნს შეაქვს შესწორებანი და ამტკიცებს საბჭოზე მზა პროდუქციის ახალ ტექნიკურ დოკუმენტაციას და შესაბამისად განსაზღვრავს ახალ პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასებს დადგენილი წესის მიხედვით.

2.3. დავა კონცერნსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებს შორის სახელმწიფო შეკვეთის მიღების აუცილებლობის და მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ან სხვა საკითხებზე განიხილება არსებული წესით, **სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.**

2.4. მონაწილეთა მიერ კონცერნისათვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში, კონცერნს შეუძლია დადგენილი წესით დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს ბანკის კრედიტებით, განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები და სხვა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა.

2.5. კონცერნის მართვის აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია:

2.5.1. დაგენილი წესით კონცერნის მონაწილეთა მომსახურებისათვის შექმნას სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები და საწარმოები, ფირმები, ცენტრები, წარმოება (სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო-მექანიკური, სატრანსპორტო, ტექნოლოგიური, კომერციული, გასაშვებ-გამმართველი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საგარეო ვაჭრობის, იურიდიული, საინფორმაციო, საკონსულტაციო, სავაჭრო და სხვა).

2.5.2. განახორციელოს მონაწილეთა, სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკთა სოციალური მომსახურების და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

2.5.3. მისცეს მის მიერ შექმნილ ორგანიზაციებს და საწარმოებს იურიდიული პირის უფლება, დაუდგინოს მათ საქმიანობის პირობები სამეურნეო ანგარიშით ან მოგების გარეშე მუშაობის საფუძველზე, დამზადებული პროდუქციის განაწილების, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევის წესი. კონცერნის მონაწილეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განსაზღვროს აგრეთვე გარეშე მომხმარებელთათვის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის წესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გამოვიდეს მონაწილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ვალდებულებათა შესრულების გარანტად.

2.6. ანგარიშსწორება მონაწილეთა შორის, აგრეთვე კონცერნის მიერ შექმნილ სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებსა (საწარმოებსა) და მონაწილეთა შორის ხორციელდება სახალხო მეურნეობაში მოქმედი ფასებით და ტარიფებით. ანგარიშსწორება შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს დადგენილი წესის შესაბამისად კონცერნის მიერ განსაზღვრული შინასაანგარიშო ფასებით, აგრეთვე, სახელშეკრულებო ფასებით.

2.7. ცალკეულ შემთხვევებში კონცერნს მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შეუძლია კომპენსაციის წესით გადაუფასოს მონაწილეებს სტიქიური მოვლენებით ან სხვა ობიექტური ფაქტორებით გამოწვეული ზარალი, ან გადიდებული ხარჯები კონცერნში შექმნილი ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე.

2.8. კონცერნი მონაწილეებს მუშა აპარატის მეშვეობით უწევს საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებას, პრაქტიკულ დახმარებას მართავს, სავალუტო-საფინანსო, სახელშეკრულებო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, მარკეტინგში, რეკლამასა და პროდუქციის გასაღებაში, ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღებაში და ა. შ.

2.9. კონცერნი დადგენილი წესით ახორციელებს ეკონომიკურ თანამშრომლობას საზღვარგარეთის ხილბოსტნეულის კონსერვების მწარმოებელ და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსულტაციო ფირმებთან, ამყარებს მათთან საქმიან კონტაქტებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კონცერნის კომპეტენციაში შედის, დებს როგორც უცხოურ, ასევე საბჭოთა ორგანიზაციებთან, ფირმებთან, გაერთიანებებთან და საწარმოებთან, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებთან სამოქალაქო-სამართლებრივ, მათ შორის საგარეო-სავაჭრო და საკრედიტო გარიგებებს, მონაწილეობს საზღვარგარეთის აქციონერულ საზოგადოებებში და სხვა ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა შეესაბამება კონცერნის მიზნებს და ამოცანებს.

შეისწავლის, განაზოგადებს, გადმოიღებს, ფართოდ ავრცელებს რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობაში საზღვარგარეთული ანალოგიური ფირმების პროგრესულ გამოცდილებას.

2.10. დადგენილი წესით გზავნის საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში კონცერნისა და მისი მონაწილეების სპეციალისტებს, იღებს საზღვარგარეთის სპეციალისტებს კონცერნის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

ყოველმხრივ ხელს უწყობს მონაწილეებს იმ ანალოგიური საქმიანობის განხორციელებაში, რომელიც 2.9 პუნქტშია აღნიშნული.

2.11. კონცერნი აპარატის მუშაკების და, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული ძალებით, ახორციელებს მონაწილეთა გადაყვანას იჯარით მუშაობის მეთოდზე, ამუშავებს შრომის ნაყოფიერების ზრდის გზებს, სახავს ხილბოსტნეულის კონსერვების თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებს, პოულობს საშუალებებს ფონდუკუგებისა და რენტაბელობის გასაზრდელად.

2.12. კონცერნი მონაწილეთა თხოვნის საფუძველზე ატარებს მათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზს თანამედროვე მეთოდებით, შეიმუშავებს მისი გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

3. კონცერნის მართვის ორგანოები

კონცერნის საერთო საქმიანობის წარსამართავად მის ორგანიზაციულ სტრუქტურაში იქმნება მართვის რგოლები:

3.1. კონცერნის მართვის უმაღლესი ორგანოა კონცერნში გაერთიანების მსურველი ორგანიზაციებისა და საწარმოების რწმუნებულ-წარმომადგენელთა (დელეგატთა) კრება, რომლის საშუალებით კონცერნის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში დემოკრატიულ საწყისებზე მონაწილეობენ კონცერნის მონაწილეთა შრომითი კოლექტივები თავიანთი წარმომადგენლების სახით.

3.1.1. რწმუნებულ-წარმომადგენლებს (დელეგატებს) კონცერნის კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ირჩევს ორგანიზაციებისა და საწარმოების (რომლებიც იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ) შრომითი კოლექტივების საერთო კრება თანაბარი რაოდენობით, გადამწყვეტი ხმის უფლებით ორგანიზაციის (საწარმოს) სიდიდის დამოუკიდებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებს (საწარმოებს) უფლება აქვთ გაიწვიონ თავიანთი რწმუნებულ-წარმომადგენლები (დელეგატები) და მის ნაცვლად აირჩიონ სხვა პირები აღნიშნული წესით.

3.1.2. კონცერნის კრების მუშაობაში მონაწილეობისათვის სათათბირო ხმის უფლებით, დელეგატთა გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნენ დარგის სხვა სპეციალისტები, მეცნიერები, სახელმწიფო მართვის ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების და სხვა გარეშე ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენლები.

3.1.3. კონცერნის კრების შემდგომი სხდომების მოწვევის აუცილებლობას, დღის წესრიგს და მოწვევის ვადებს განსაზღვრავს კონცერნის საბჭო.

შემდგომში კრების სხდომის მოწვევის საკითხი კონცერნის საბჭოს წინაშე შეუძლია დააყენოს კონცერნის მონაწილეთა არანაკლებ 1/3-ს ან სარევიზიო კომისიას.

3.1.4. კრება უფლებამოსილია, გამართოს სხდომები, თუ მას ესწრება დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედი.

სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ფარული ან ღია კენჭისყრით, საკითხების მნიშვნელობის მიხედვით, დელეგატთა მიერ შერჩეული წესით.

3.2. კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს შემდეგ საკითხთა განხილვა:

ა) კონცერნის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა, რესპუბლიკის მთავრობისათვის შეტყობინებით;

ბ) კონცერნის საბჭოს შემადგენლობის რიცხობრივი რაოდენობის განსაზღვრა და წევრების არჩევა;

გ) კონცერნის სარევიზიო კომისიის შემადგენლობის რიცხობრივი რაოდენობის განსაზღვრა და წევრების არჩევა;

დ) კონცერნში გაერთიანების სურვილის მქონე ორგანიზაციების მიღება;

ე) კონცერნის მონაწილეთა შესასვლელი შესატანებისა და წილობრივი (საპაიო) შესატანის, საწყისი საწესდებო ფონდის ოდენობის განსაზღვრა;

ვ) კონცერნის წლიური ნაერთით ბალანსის განხილვა-დამტკიცება;

ზ) მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის პერსპექტიული გეგმების, კონცეფციების და პროგრამის განხილვა-დამტკიცება;

თ) კონცერნის საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშების მოსმენა;

ი) სხვა საკითხები.

3.3. კონცერნის საბჭოს, მის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას კრება ირჩევს 3 წლის ვადით.

ამ ვადის გასვლის შემდეგ, ამ პირების რწმუნების გაგრძელება ან ხელახალი არჩევა დასაშვებია არა უმეტეს 3 წლის ვადით. საკითხს წყვეტს კრება.

3.4. კრების სხდომის თავმჯდომარეობა ეკისრება კონცერნის პრეზიდენტს. კონცერნის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში კი საბჭოს გადაწყვეტილებით კრებას თავმჯდომარეობს ერთ-ერთი მოადგილე (ვიცე-პრეზიდენტი).

3.5. კონცერნის მართვის აღმასრულებელი ორგანოა კონცერნის საბჭო. იგი იქმნება კონცერნის მონაწილეთა საქმიანობის კოორდინაციისა და საერთო ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე მისი მუშა აპარატის საქმიანობის წარსამართავად.

კონცერნის საბჭოს შემადგენლობაში აირჩევიან კონცერნის მონაწილეთა ელმძღვანელები და სპეციალისტები.

3.6. კონცერნის საბჭოს კომპეტენციაში შედის:

ა) კონცერნის პრეზიდენტის მოადგილეების თანამდებობათა დადგენა, მათი რაოდენობის განსაზღვრა და არჩევა საბჭოს წევრებისაგან;

ბ) კონცერნის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და შენახვის ხარჯების წყაროს განსაზღვრა, მასში ცვლილებების შეტანა;

გ) კონცერნის აპარატის მაღალკვალიფიციური მუშაკების თანამდებობრივ სარგოზე დანამატისა და სართის დაწესება, აპარატის მუშაკთა პრემირების პირობების, ოდენობისა და ვადების დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა;

დ) კონცერნში მონაწილეთა შესასვლელი შესატანის და წილობრივი (საპაიოს) შესატანის გამოყენების დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებათა შეტანა;

ე) კონცერნის ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და გამოყენების დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებათა შეტანა;

ვ) სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებათა შეტანა;

ზ) კონცერნის აპარატის დებულებისა და აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;

თ) კონცერნის შემადგენლობაში ახალი მონაწილეების მიღება, კონცერნის შემადგენლობიდან იმ მონაწილეთა გარიცხვა, ვინც არ ასრულებს კონცერნის წესდებას, შემდგომში კრებაზე დამტკიცებით;

ი) კონცერნის საბჭოს სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების დროებით შეტანა, შემდგომში კრებაზე დამტკიცებით;

კ) კონცერნის პრეზიდენტის მოადგილეებისა და კონცერნის საკუთრებაში მყოფი საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დანიშვნა და გათავისუფლება შემდგომში კრებაზე დამტკიცებით;

ლ) კონცერნის მონაწილეთა ხელმძღვანელი კადრებისათვის რეკომენდაციების მიცემის წინადადებათა განხილვა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი დაარღვევს დადებული ხელშეკრულებისა და წესდების მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოს საფინანსო, სამეურნეო საქმიანობას, კონცერნის საბჭო განიხილავს მის თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს და თავის მოსაზრებას აცნობებს შრომითს კოლექტივს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს წევრი ვადის გასვლამდე გავა საბჭოდან ან განთავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან, რომლიდანაც იგი არჩეული იყო საბჭოს წევრად, საბჭოს შეუძლია მის მაგივრად აირჩიოს ახალი წევრი დარჩენილი ვადის განმავლობაში, შემდგომში კრებაზე დამტკიცებით;

3.8. კონცერნის საბჭოს თავმჯდომარე ერთდროულად არის კონცერნის პრეზიდენტი.

3.9. საბჭოს სხდომას იწვევს მისი თავმჯდომარე — კონცერნის პრეზიდენტი ან იწვევენ საბჭოს წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით, საჭიროების მიხედვით.

3.10. კონცერნის საბჭო განიხილავს:

— საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებასთან, აძლევს აპარატს შესაბამის დავალებას მოამზადოს მუშაობის პროგრამა, ნორმატიული დოკუმენტები, სარეკომენდაციო მითითებები და სხვა მასალები ნორმალურად მუშაობისათვის;

— კონცერნის მონაწილეთა მიერ წამოყენებულ პრობლემებს, რომელსაც საერთო საკონცერნო მნიშვნელობა აქვს, ამტკიცებს კონცერნის მუშაობის წლიურ ანგარიშს (ბალანსს), წლიური მოცულობის მაჩვენებლებს, სამშენებლო-საწარმოო, ფინანსურ ლიმიტებს და მაჩვენებლებს, საკუთარი კაპიტალური დაბანდებისა და განვითარების პერსპექტიულ გეგმებს;

— ერთობლივ მოქმედებასთან დაკავშირებულ შიგასაორგანიზაციო და საკოორდინაციო საკითხებს, მათ შორის კონსერვების წარმოების, სამშენებლო, საწარმოო, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო და კომერციულ საკითხებს და ა. შ.

3.11. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება მათი მოვალეობის შესრულება და აქედან გამომდინარე საკუთარი უფლების რეალიზაცია დააკისრონ სხვა პირს.

3.12. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა კონცერნის ყველა მონაწილისათვის.

3.13 საბჭო თავის სხდომებზე განიხილავს და ამზადებს საკითხებს, აგრეთვე მათი გადაწყვეტის პროექტებს კონცერნის კრებაზე განსახილველად.

3.14. საბჭო განიხილავს და გადაწყვეტს კონცერნის მონაწილეთა საქმიანობასთან დაკავშირებულ, აგრეთვე აპარატის ცალკეული მუშაკების საქმიანობის საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.

3.15. საბჭო განიხილავს ხელმძღვანელი ორგანოებისა და კრების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას.

3.16. საბჭოს სხდომაზე მტკიცდება კონცერნის საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკური კომისია და მისი დებულება.

3.17. იმ ორგანიზაციის, საწარმოს, სტრუქტურული ქვედანაყოფის ან მუშაკის შესახებ, ვისთვისაც საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა, აღნიშნული უნდა იქნეს საბჭოს სხდომის ოქმში.

3.18. საბჭოს ყველა გადაწყვეტილება, დადგენილება ან რეკომენდაცია გაფორმდება დოკუმენტით, რომლის დასათაურებაა „საბჭოს გადაწყვეტილება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.19. კონცერნის საბჭოს თავმჯდომარე:

3.19.1. ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას (სხდომას), ანაწილებს წევრებს შორის მოვალეობებს, ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომის განსახილველი საკითხების მომზადებას, წარმართავს სამუშაო აპარატის საქმიანობას, ახორციელებს მისი მუშაობის კონტროლს.

3.19.2. წარადგენს კონცერნს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და უწყებებში, აწარმოებს მიმოწერას საბჭოს სახელით კონცერნის მონაწილეებთან, სხვა დაწესებულებებთან, საზღვარგარეთის ფირმებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან. ხელს აწერს კონცერნის სახელით ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს და შეთანხმებებს.

3.19.3. განიხილავს საკადრო საკითხებს, ადგენს აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს და დანამატებს ამ სარგოებზე, ახორციელებს აპარატის მუშაკთა პრემირებას საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის ფარგლებში, დადგენილი წესის შესაბამისად.

3.19.4. ადგენს აპარატში საქმისწარმოების წესებს და შესრულების კონტროლს, ნიშნავს საბჭოს მდივანს.

3.19.5. განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე მოქმედებს კონცერნის სახელით.

3.19.6. აძლევს მინდობილობებს, ხსნის სსრ კავშირის ბანკის დაწესებულებებში კონცერნის ანგარიშსწორების ანგარიშს და სხვა ანგარიშებს.

3.19.7. სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ითხოვს სამუშაო აპარატის თანამშრომლებს, იყენებს მათ მიმართ წახალისების ღონისძიებებს და ადებს დისციპლინურ სასჯელებს.

3.20. კოლეგიური ხელმძღვანელობის ორგანო — საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოს მუშა ორგანოა და საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და მუშა აპარატის საქმიანობას.

3.21. სამუშაო აპარატი.

რწმუნებულთა კრებისა და საბჭოს მიერ დამტკიცებული შენახვის ხარჯებისა და საშტატო განრიგის ფარგლებში, კონცერნის ხელმძღვანელი ორგანოების მიმდინარე საქმიანობის ორგანიზაციულად უზრუნველყოფისა და ამ ორგანოების მიერ მართვის და სამეურნეო ფუნქციების ყოველდღიურად შესრულებისათვის ხელის შესაწყობად, მართვის ყველა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციისა და მისი ტექნიკურად გაფორმებისათვის, აგრეთვე საქმიანი ქაღალდების მომზადების, მუშაკთა სამუშაო ადგილის მოწყობისა და მომსახურებისათვის საბჭო ქმნის სამუშაო აპარატს.

3.22. კონცერნის პრეზიდენტის, პრეზიდენტის მოადგილეებისა და აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოებს კონცერნის მონაწილეთა შრომის ანაზღაურების ფონდების ხარჯზე.

3.23. კონცერნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის, საგარეო საფაჭრო გარიგებისათვის და ერთობლივი საწარმოების და ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის სამუშაო აპარატში საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება შე-

საბამისი სამსახური, აპარატისათვის განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

4. კონცერნის ქონება

4.1. კონცერნი ფლობს, იყენებს და განმკარგულებელია მასზე მიმაგრებული იმ ქონებისა, რომელიც შედგება ძირითადი ფონდებისაგან, საბრუნავი სახსრებისაგან, სხვა მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური რესურსებისაგან.

კონცერნის ქონება იქმნება მისი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

კონცერნის ქონებაში შედის აგრეთვე მის ხარჯზე შექმნილი საწარმოების (ორგანიზაციების) ქონება, აგრეთვე კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებში (საწარმოებში) საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული წესით შესრულებისათვის საკუთარი თანხების ხარჯზე შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ქონება.

4.2. კონცერნის ქონება იქმნება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

4.2.1. კონცერნისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების მიზნით, კონცერნის კრების გადაწყვეტილებით, მის მონაწილეთა ფულადი შენატანების და გადაცემული ქონების ხარჯზე, იქმნება კონცერნის საწესდებო ფონდი.

საწყისი საწესდებო ფონდის ოდენობა განსაზღვრულია კონცერნის კრების მიერ 2,5 მილიონი მანეთის ოდენობით.

კონცერნის საწესდებო ფონდში თითოეულ წევრს თავისი შესაძლებლობის მიხედვით შეაქვს საპაიო შენატანი ისეთი ოდენობით, რომელიც საკმარისია საწესდებო ფონდების შესავსებად.

კონცერნის საწესდებო ფონდი შეიძლება შეივსოს კონცერნის სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგების ხარჯზე, აგრეთვე ახალ წევრთა საპაიო შენატანით. საწესდებო ფონდის საფუძველზე შექმნილი ქონება კონცერნის საერთო საკუთრებაა.

4.2.2. კონცერნის საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაცემულ იქნეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტები. კონცერნს შეუძლია სხვა ორგანიზაციებისაგან იჯარით აიღოს სახელმწიფო და კოლექტიურ საკუთრებაში არსებული ობიექტები. კონცერნის მიერ იჯარით აღებული ქონება იჯარით მიმცემის თანხმობით შეიძლება გამოსყიდულ იქნეს საიჯარო გადასახადის ხარჯზე, თუ ამ ქონების ღირებულება მთლიანად გადაიფარება საიჯარო გადასახადით. კონცერნის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული პროდუქცია და მოგება (შემოსავალი) კონცერნის საკუთრებაა. კონცერნის წევრთა წილი მიღებულ მოგებაში განისაზღვრება მის მიერ კონცერნისათვის გადაცემული ფულადი სახსრების ან ქონების ხვედრითი წილის პროპორციულად.

4.2.3. საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.2.4. ბანკის კრედიტის ხარჯზე.

4.2.5. ბიუჯეტისა და სხვა ცენტრალიზებული ასიგნების ხარჯზე.

4.2.6. ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა და დივიდენდებისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

4.2.7. სხვა ფონდების, კონცერნის განკარგულებაში არსებული ფინანსური და სხვა თანხების შემოსავლის ხარჯზე

4.3. კონცერნის მონაწილენი არ ფლობენ კონცერნის ქონების გასხვისების უფლებას.

4.4 კონცერნის სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და სოციალური განვითარების კონკრეტული პრობლემის შესასწავლად და გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონცერნის მონაწილეთა მიზნობრივი შენატანები, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე იწარმოებს.

4.5. კონცერნს, მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შეუძლია შექმნას სხვა ცენტრალიზებული ფონდები, მათ შორის სარეზერვო (სადაზღვევო), ვალუტის და სხვა.

ფონდების შემადგენლობას, დანიშნულებას, ოდენობას და მის გამოყენების წესს განსაზღვრავს საბჭო.

4.6. კონცერნის მონაწილეებს შესატანები საწესდებო ფონდში ან სხვა სპეციალურ ფონდებში შეაქვთ მანეთებით ან უცხოური ვალუტით.

4.7. კონცერნის კუთვნილი ქონება აღირიცხება მის დამოუკიდებელ ბალანსზე, რომელიც დგება დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. იგი ინახავს ფულად სახსრებს სსრ კავშირის ბანკების დაწესებულებებში ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშებზე და აწარმოებს ყველა საკასო და ანგარიშსწორების ოპერაციებს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.8. კონცერნის საოპერაციო წელი არის კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ყოველი წლის დამთავრების შემდეგ ის ადგენს წლიურ ბალანსს.

4.9. კონცერნი ადგენს აგრეთვე კონცერნში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოების ნაერთ ბალანსს, საკუთარი ბალანსის ჩათვლით.

4.10. კონცერნი არ აგებს პასუხს სახელმწიფო ვალდებულებებისათვის, ხოლო სახელმწიფო არ აგებს პასუხს კონცერნის ვალდებულებების მიხედვით.

კონცერნი თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს იმ ქონებით, რაზედაც საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. იგი არ აგებს პასუხს კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ვალდებულებათა მიხედვით, ხოლო ეს ორგანიზაციები და საწარმოები არ აგებენ პასუხს კონცერნის ვალდებულებების მიხედვით, საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

4.11. კონცერნი აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის.

კონცერნის, ისე როგორც კონცერნის მონაწილეთა ქონება ექვემდებარება დაზღვევას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.12. კონცერნს შეუძლია დადგენილი წესით მიიღოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები ბანკიდან, გამოუყოს ახლად შექმნილ ორგანიზაციებს საბრუნავი სახსრები, საერთო მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე.

4.13. კონცერნი საძეურნეო და კომერციული საქმიანობით მიღებული მოგებიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კონცერნი, კანონმდებლობით დადგენილი წესით განაწილების შემდეგ დარჩენილი ვალუტის ნაწილს იყენებს თავისი სამეურნეო საქმიანობის გასაფართოებლად.

კონცერნი შემოსავალს, რომელიც ბიუჯეტში გადასახადების შეტანისა და ბანკის კრედიტების სარგებლობისათვის პროცენტების გადახდის შემდეგ დარჩება მის განკარგულებაში, იყენებს დამოუკიდებლად.

4.14. კონცერნის საკუთარი ბალანსიდან და კონცერნის მონაწილეთა ბალანსიდან უიმედო დავალიანებები, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და დანაკარგი, მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი მოწყობილობა, აგრეთვე შეწყვეტილი ან განუხორციელებელი კაპიტალური სამუშაოებით გამოწვეული დანახარჯები ჩამოიწერება საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

4.15. აპარატი სტატისტიკურ აღრიცხვას და ანგარიშგებას აწარმოებს დამტკიცებული ფორმებით და დადგენილი წესით.

4.16. კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციები და საწარმოები ქმნიან კომერციულ ბანკს, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს კონცერნში გაერთიანებული ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე სხვა კლიენტების კომპლექსური საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურება.

4.17. კონცერნი და მისი მონაწილენი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად გამოუშვან ფასიანი ქაღალდები (აქცია, ლატარია და ა. შ.).

4.18. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, კონცერნი უფლებას იტოვებს რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით შეიტანოს წესდებაში სათანადო ცვლილებანი შექმნილი ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთკავშირების შესაბამისად, ასევე ახალი კანონმდებლობის გათვალისწინებით, თუ ისინი შეეხებიან კონცერნის საქმიანობას.

5. კონცერნის სარევიზიო კომისია

5.1. კონცერნის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესამოწმებლად, აგრეთვე კონცერნის მონაწილეთა საქმიანობაში კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნათა დაცვის შესამოწმებლად არჩევით საწყისებზე იქმნება სარევიზიო კომისია.

5.2. სარევიზიო კომისიას ირჩევენ კონცერნის მონაწილეთა რწმუნებულწარმომადგენელთა კრებაზე წარმომადგენელთა რიცხვიდან. ამ სხდომაზე ირჩევენ აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს.

5.3 საევიზიო კომისიას ირჩევენ 3 წლის ვადით.

5.4. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საბჭოს წევრები ან დაკავებული ჰქონდეთ რომელიმე თანამდებობა კონცერნის სამუშაო აპარატში.

5.5. სარევიზიო კომისიის ყველა წევრი რევიზიის ჩატარების დროს თავისუფლდება ძირითადი სამუშაოდან მათთვის საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. სარევიზიო კომისიის მუშაობის პერიოდში მონაწილეობისათვის მათი შრომის ანაზღაურება წარმოებს მუდმივი მუშაობის ადგილას სამსახურებრივი მივლინების წესით.

სარევიზიო კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის დამატებითი გასამრჯელოს გაცემა ექვემდებარება საბჭოს გადაწყვეტილებას.

5.6. სარევიზიო კომისია შემოწმებას ატარებს წელიწადში ერთხელ, გაწეული მუშაობის ანგარიშს კომისია წარუდგენს კონცერნის საბჭოს ან კრებას.

6. კონცერნის შექმნა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

6.1. კონცერნი „ქართული კონსერვი" იქმნება რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა და სხვა დამოუკიდებელი და თვითმმართველობით მომუშავე, იურიდიული პირის უფლების მქონე ორგანიზაციების და საწარმოების ინიციატივით.

6.2. კონცერნის შექმნაზე ორი ან მეტი ორგანიზაციის ან საწარმოს თანხმობისას შეიქმნება დამფუძნებელი კომისია, რომლის ფუნქციაში შედის კონცერნში შესვლის მსურველი ორგანიზაციების და საწარმოების განცხადებების განხილვა, მათი უფლებაუნარიანობის შემოწმება და დამფუძნებელი კონფერენციის (კრების) მომზადება და ჩატარება.

6.3. კონცერნის ლიკვიდაცია ხდება:

6.3.1. თუ კონცერნის მონაწილე ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დაკარგეს დაინტერესება ერთობლივი საქმიანობის გაგრძელებისადმი და წესდებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

6.3.2. თუ მონაწილეთა რიცხვი შემცირდა ერთამდე.

6.3.3. საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ კონცერნის საქმიანობის აკრძალვაზე გადაწყვეტილების მიღებით საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, თუ კონცერნი სისტემატიურად არღვევს სხვა საწარმოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების ან სახელმწიფო უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

6.3.4. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ კონცერნის შექმნის დამფუძნებელი აქტები მიჩნეული იქნება ძალადაკარგულად.

6.3.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

6.3.6. კონცერნის საქმიანობის შეწყვეტა (კონცერნის ლიკვიდაცია) ხდება კონცერნის მონაწილეთა რწმუნებულ-წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით. კრებაზე დადგინდება კონცერნის საქმიანობის შეწყვეტის წესი და პირობები. საჭიროების შემთხვევაში აირჩევა სალიკვიდაციო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერნის ლიკვიდაციის საკითხს ამზადებს და კრებას წარუდგენს კონცერნის საბჭო.

6.5. კონცერნის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კონცერნის მონაწილეთა შორის.

6.6. კონცერნის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში მათი კომპეტენციის შესაბამისად.

---

313 საქართველოს სუვერენიტეტის გლობალურ პრობლემათა კვლევის კონსორციუმის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სუვერენიტეტის გლობალურ პრობლემათა კვლევის კონსორციუმის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 ნოემბერი, № 685

314 საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული კავშირების განვითარების ასოციაცია „საქართველო 90-ის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული კავშირების განვითარების ასოციაცია „საქართველო 90-ის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 2 ნოემბერი, № 684

315 საქართველოს საერთაშორისო ბიზნესის ასოციაცია „საბას“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს საერთაშორისო ბიზნესის ასოციაცია „საბას“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 6 ნოემბერი, № 683

316 საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების სამეურნეო ასოციაცია „დიდგორის“ წესდების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების სამეურნეო ასოციაცია „დიდგორის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 ნოემბერი, № 687

317 საქართველოს სპორტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს პატრიოტულ სპორტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 ნოემბერი, № 688

318 საქართველო-ისრაელის საქმიანი წრეების ურთიერთობათა ხელშემწყობი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ასოციაცია „სიონი-XXI“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველო-ისრაელის საქმიანი წრეების ურთიერთობათა ხელშემწყობი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ასოციაციის „სიონი-XXI“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 9 ნოემბერი, № 689

319 საქართველოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის „ისინდის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის „ისინდის“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 12 ნოემბერი, № 690

320 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის“ შექმნის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეერთება გაუმართლებელი გამოდგა, რის შედეგადაც დარგებმა (განსაკუთრებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებამ) ვერ მიიღეს სრული განვითარების შესაძლებლობა, აგრეთვე დარგობრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის განმტკიცების საჭიროების გათვალისწინებით და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემისაგან გამოიყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო დამოუკიდებელ დარგად.

აღნიშნული სამინისტროს ხელმძღვანელობამ უმოკლეს ვადაში სისტემაში შემავალი სამსახურების და ქვედანაყოფების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთკავშირის გათვალისწინებით შეიმუშაოს და ჩამოაყა-

ლიბოს ორივე დარგის მართვის სტრუქტურა განცალკევებული სისტემებდაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

2. მიღებულ იქნეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის საწარმო-ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების სურვილი და დარგის გაერთიანება მოხდეს რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის“ სახით 1990 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით.

კონცერნში შევიდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის სპეციალიზებული საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში „საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მართვის გენერალური სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 502 დადგენილებით.

კონცერნი არის იურიდიული პირი და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების (მათ შორის სავალუტო) პრინციპებით, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის“ თანდართული წესდება.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტებმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა მოახდინონ სათანადო ცვლილებანი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე წლისა და 1991 წლის გეგმაში და ბიუჯეტში საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკე დარგად ასახვით.

5 აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ დადგენილებიდან გამომდინარე მართვის სტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებაში, გაუწიონ დახმარება და ხელი შეუწყონ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 502 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მართვის გენერალური სქემა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 ივლისის № 339 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურ-

მუზ. 320

ნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დებულება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 12 ნოემბერი, № 691

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 12 ნოემბრის № 691
დადგენილებით

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო კონცერნის „საქყოფსერვისის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო კონცერნი „საქყოფსერვისი“ (შემდგომში — „კონცერნი“) აერთიანებს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. კონცერნი შექმნილია საქართველოში საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსავითარებლად, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთის ქვეყნების ფირმებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთერთხელსაყრელი თანამშრომლობის დასამყარებლად.

2. კონცერნი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

3. კონცერნი არის იურიდიული პირი და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, ფლობს განკერძოებულ ქონებას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებანი და იკისროს ვალდებულებანი, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

4. კონცერნი თავისი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს კუთვნილი ქონებით, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს ვადახდევინება.

სახელმწიფო, მისი ორგანოები და ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ კონცერნის ვალდებულებათა გამო, ისევე როგორც კონცერნი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ორგანიზაციების ვალდებულებებისათვის.

5. კონცერნს აქვს საანგარიშსწორებო და სხვა, მათ შორის საავალუტო, ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში, ბეჭედი მისი დასახელებითა და კონცერნის ემბლემის გამოსახულებით.

6. კონცერნის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

II. კონცერნის ფუნქციები

7. კონცერნი ახორციელებს:

ა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონისა და კულტურის ამაღლებას, მისი დიაპაზონის გაფართოებას, ახალი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებას, წარმოებისა და სოციალური სფეროს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას, მატერიალურ-ტექნიკური მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარაგებისა და მზა პროდუქციის გასაღების ორგანიზაციას, საგარეო-ეკონომიკურ, კომერციულ და სხვა, კანონით ნებადართულ საქმიანობას;

ბ. რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და საწარმოთა ინტერესებისა და საქმიანი წინადადებების შეკრებას, ანალიზსა და ურთიერთდაკავშირებას ქვეყნისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან და ფირმებთან შესაძლო პარტნიორთა ძიებას;

გ. საკუთარი და მოზიდული სახსრების დაბანდებას თანამშრომლობის პროექტებში ქვეყნისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და ფირმების მონაწილეობით;

დ. კონცერნისა და მისი წევრების ინტერესების წარდგენას ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

ე. კომერციული ბანკის მეშვეობით ინვესტიციურ პოლიტიკას და პრიორიტეტულ მიმართულებათა სუბსიდირებას;

ვ. საინფორმაციო-სარეკლამო საქმიანობას და საინფორმაციო-სარეკლამო ჟურნალ „პირიმზის“ გამოცემას;

ზ. სხვა იმ ფუნქციებს, რომლებიც კონცერნის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

8. კონცერნი კომერციულ საფუძველზე მომსახურებას უწევს როგორც კონცერნის წევრებს, ისე სხვა დაინტერესებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებსა და ფირმებს. კონცერნის წევრები მისი მომსახურებით სარგებლობენ შეღავათიანი პირობებით.

III. კონცერნის უფლებანი

9. დასახული ამოცანების შესასრულებლად კონცერნს დადგენილი წესით უფლება აქვს:

ა. განახორციელოს თავისი საქმიანობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, წარმართოს საწარმოო, სამეურნეო და საგარეო ეკონომიკური საქმიანობა ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ, ურთიერთობა იქონიოს დადგენილი წესით უცხოეთის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ფირმებთან, აგრეთვე მათ წარმომადგენლებთან, უცხოელ მოქალაქეებთან კონცერნის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ბ. დადოს სხვადასხვა სახის გარიგებანი, მათ შორის საგარეო-სავაჭრო, საშუამავლო, სათამასუქო;

გ. მიიღოს უცხოელი მოქალაქეებისაგან ვალუტა კონცერნის მიერ გაწეული მომსახურებისათვის;

დ. ააშენოს, შეიძინოს, გაასხვისოს, იჯარით აიღოს და გასცეს, გააქირაოს კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება;

ე. დააარსოს ქვეყანაში და საზღვარგარეთ თავისი ფილიალები და წარმომადგენლობები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს;

ვ. შექმნას ერთობლივი საწარმოები როგორც ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან;

ზ. გამოიყენოს კონცერნის ფულადი სახსრები საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

10. კონცერნი ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის საფუძველზე, საწარმოთა ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკურ, ინვესტიციურ, ფინანსურ და სხვა, კანონით ნებადართულ საქმიანობას.

11. კონცერნი თავის საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას აგებს და განვითარების პერსპექტივებს განსაზღვრავს კონცერნის წევრების მიერ ტერიტორიული ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად შეშუშავებული სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების საფუძველზე დარგის განვითარების ერთიანი პოლიტიკის შესაბამისად.

კონცერნსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის უთანხმოებას სახელმწიფო შეკვეთებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დასაბუთების საქმეში განიხილავენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები დადგენილი წესით.

12. კონცერნი და მისი წევრები დადგენილი წესით დამოუკიდებლად უშვებენ ფასიან ქაღალდებს და გამოდიან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

13. კონცერნი ორგანიზაციას უწევს კონცერნის წევრთა პროდუქციით მომხმარებელთა საფირმო მომსახურებას და სხვა საქმიანობას, ახორციელებს ღონისძიებებს კონცერნში შემავალი საწარმოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკთა სოციალური მომსახურებისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

14. კონცერნი ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს როგორც ქვეყნის, ისევე საზღვარგარეთის მოწინავე სასწავლო დაწესებულებებში, დამოუკიდებლად გზავნის საზღვარგარეთ მივლინებაში სპეციალისტებს და იღებს საზღვარგარეთის ფირმებისა და ორგანიზაციების დელეგაციებსა და წარმომადგენლებს დადგენილი წესით.

15. ანგარიშსწორება კონცერნის წევრთა შორის ხორციელდება მათ მიერ დამოუკიდებლად დადგენილი ან სახელშეკრულებო ფასებითა და ტარიფებით. ცალკეულ შემთხვევებში კონცერნს, მის წევრთა ერთობლივი შეთანხმებით, შეუძლია დააფინანსოს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათგან დამოუკიდებელი ობიექტური ფაქტორების მოქმედებით გადიდებული ხარჯების საკომპენსაციოდ.

16. კონცერნის წევრთა მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია და მომსახურება ხდება მათ მიერ დამოუკიდებლად დადგენილი ან სახელშეკრულებო ფასებით, აგრეთვე აუქციონის წესით.

IV. კონცერნის წევრები

17. კონცერნის წევრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ნებაყოფლობით საწყისებსა და ეკონომიკურ ურთიერთდაინტერესების საფუძველზე შეიძლება იყვნენ სახელ-

ნწიფო, კოოპერაციული, საიჯარო, ერთობლივი, სააქციონერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოები, გაერთიანებები და სამეურნეო ასოციაციები, მიუხედავად მათი ტერიტორიული განლაგებისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომელთა საქმიანობა მიმართულია კონცერნის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც იზიარებენ კონცერნის მიზნებსა და ამოცანებს და დაინტერესებული არიან ქვეყნისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან და ფირმებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებით.

18. კოცერნი საკუთარი სახსრებით იურიდიული პირის უფლებით დამოუკიდებლად ქმნის საწარმოებს, ფირმებს, ასოციაციებს. ასეთი საწარმოები იურიდიული პირის უფლებას იღებენ კონცერნ „საქყოფსერვისში“ რეგისტრაციის შემდეგ და წარმოადგენენ კონცერნის საკუთრებას.

19. კონცერნის წევრები ინარჩუნებენ სრულ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებს და თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ბოქმედი კანონების შესაბამისად.

20. კონცერნის წევრებს თავიანთ სრულუფლებიან წარმომადგენელთა სახით უფლება აქვთ:

ა. აირჩიონ და არჩეულ იქნენ კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ. წარუდგინონ კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოებს განსახილველად წინადადებანი კონცერნის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, მონაწილეობა ძიღონ ამ საკითხთა განხილვაში კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოებში მოწვეულ კრებებზე, თათბირებსა და სამუშაო სხდომებზე;

გ. მოაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში საბჭოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილ საკითხებზე;

დ. ისარგებლონ კონცერნის მომსახურებით პირველ რიგში.

21. კონცერნის წევრები მოვალენი არიან:

ა. აქტიურად შეუწყონ ხელი კონცერნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას;

ბ. მოაწილეობა მიიღონ ღონისძიებებში, რომლებიც კონცერნის ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებით ხორციელდება;

გ. შეიტანონ შესასვლელი შესატანი კონცერნის საწესდებო ფონდსა და საწევრო შესატანი კონცერნის სპეციალურ ფონდებში;

დ. დაიცვან კონცერნის წესდება და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი.

22. კონცერნის ნებისმიერ წევრს შეუძლია გავიდეს კონცერნის შემადგენლობიდან დადგენილი წესის მიხედვით.

23. კონცერნში ნებაყოფლობით შესული მონაწილის წევრობა შეიძლება შეწყდეს კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კონცერნის მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გადაიხდის დადგენილ შესატან ან საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულ სხვა გადასახადებს.

კონცერნიდან გასვლის შემთხვევაში წევრს საპაიო შენატანები არ უბრუნდება.

V. კონცერნის მართვის ორგანოები

24. კონცერნის მართვის ორგანოებია კონცერნის საბჭო და მისი გამგეობა.

25. კონცერნის საბჭო არის კონცერნის მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება კონცერნში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონცერნის გამგეობის წევრებისაგან. საბჭო მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. მის რიგგარეშე სხდომას მოიწვევენ გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრთა ერთი მეოთხედის წინადადებით იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც კონცერნის საქმიანობის პროცესში წარმოიშობა და გამგეობის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

26. კონცერნის წევრებს საბჭოს მოწვევის შესახებ ეცნობებათ წინასწარ წერილობით. შეტყობინებაში აღინიშნება საკითხები, რომლებიც საბჭოს სხდომას წარედგინება განსახილველად.

27 კონცერნის საბჭოს გამგებლობას ექვემდებარება:

ა. კონცერნის წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;

ბ. კონცერნის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების და გამგეობის არჩევა ხუთი წლის ვადით. კონცერნის პრეზიდენტს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

გ. კონცერნის სპეციალური ფონდების შექმნა და მათი ოდენობის განსაზღვრა, ცვლილებების შეტანა, აგრეთვე კონცერნის წევრებისათვის შესატანის შემცირებისა თუ გადიდების საკითხების გადაწყვეტა;

დ. სარევიზიო კომისიის არჩევა;

ე. კონცერნის საქმიანობის პროგრამის, სარევიზიო კომისიისა და გამგეობის მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცება;

ვ. კონცერნის საბჭოს, გამგეობის ან მისი ნებისმიერი წევრის ინიციატივით საბჭოს შეიძლება წარედგინოს განსახილველად სხვა საკითხებიც.

28. კონცერნის საბჭოს სხდომებში მონაწილეობენ მისი წევრების ხელმძღვანელები, ანდა მათ მიერ რწმუნებული პირები, რომლებიც სხდომებში ან კენჭისყრაში მონაწილეობენ სპეციალურ მინდობილობათა გარეშე.

29. კონცერნის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს განსახილველად გამოტანილი საკითხები, თუ სხდომაში მონაწილეობენ კონცერნის წევრთა წარმომადგენლების ორი მესამედი მაინც. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმრავლესობით.

30. საბჭოს ჰყავს პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც ამზადებს საკითხებს საბჭოს სხდომაზე განსახილველად, აკონტროლებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, უზრუნველყოფს საქმის წარმოებას.

საბჭოს სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ კონცერნის პრეზიდენტი და პასუხისმგებელი მდივანი. ოქმების ასლები ეგზავნებათ კონცერნის წევრებს სხდომის ჩატარების დღიდან ხუთი დღის ვადაში.

საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა კონცერნის გამგეობისათვის, რომელიც მას პირველ რიგში ასრულებს.

პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას ასრულებს კონცერნის აპარატის თანამშრომელი.

მუხ. 320

31. გამგეობა არის კონცერნის აღმასრულებელი ორგანო, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

32. კოხცერნის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები თანამდებობრივად ხედიან კონცერნის გამგეობის შემადგენლობაში.

33. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი გავიდა ან განთავისუფლდა თანამდებობიდან საბჭოს გადაწყვეტილებით იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც იგი იყო არჩეული, საბჭო მის ნაცვლად ირჩევს გამგეობის ახალ წევრს გამგეობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

34. კონცერნის გამგეობა რეგულარულად აწყობს სხდომებს, რომლებზეც:

ა. განიხილავს კონცერნის საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხებს.

ბ. განიხილავს კონცერნში ახალ წევრთა მიღების, აგრეთვე კონცერნის წევრობის შეწყვეტის საკითხებს და შეაქვს ისინი საბჭოს განსახილველად.

გ. წყვეტს კონცერნის აპარატის, აგრეთვე მისი საწარმოების, ფილიალების, სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მიმდინარე მუშაობის საკითხებს.

დ. ამტკიცებს კონცერხის აღმასრულებელი აპარატის წლიურ ანგარიშს, ბალანსს, ლიმიტებსა და მოგების განაწილებას;

ე. წინასწარი წესით განიხილავს და ამზადებს შესაბამის მასალებსა და წინადადებებს საბჭოს გადასაწყვეტად;

ვ. წყვეტს ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების, აღრიცხვისა და ანგარიშგების, შინაგანი კონტროლისა და კონცერნის საქმიანობის სხვა, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ძირითად საკითხებს;

ზ. ამტკიცებს ტარიფებს საბჭოთა მანეთით, უცხოური ვალუტით და კონვერტირებული მანეთით კონცერნის მიერ გაწეული მომსახურებისათვის;

თ. განსაზღვრავს კონცერნის ქონების გამოყენების საერთო წესს;

ი. განიხილავს საკითხებს ქვეყანაში და საზღვარგარეთ კონცერნის ფილიალების გახსნის, აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში მისი მონაწილეობის შესახებ;

კ. ამტკიცებს კონცერნის აპარატის მუშაკთა რაოდენობას და მათ თანამდებობრივ სარგოებს;

ლ. ამტკიცებს დებულებას კონცერნის აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ;

მ. ამტკიცებს საინსტრუქციო მასალებს, დებულებებს კონცერნის და მისი ფილიალების სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის;

ნ. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებსაც გამგეობას განსახილველად წარუდგენენ გამგეობის წევრები და სტრუქტურული ქვედანაყოფები.

35. გამგეობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის განსახილველად წარდგენილი საკითხები, თუ გამგეობის სხდომას ესწრება მისი წევრების ორი მესამედი მაინც. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმრავლესობით.

გამგეობა ანაწილებს მოვალეობებს გამგეობის წევრთა შორის და პასუხისმგებელია აპარატს დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის.

კონცერნის მთავარი ბუღალტრისა და იურიდიული სამსახურის უფროსის კომპეტენცია განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

36. კონცერნის პრეზიდენტი:

ა. გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ბ. დადგენილი წესით განკარგავს კონცერნის ქონებას, დებს ქვეყანასა და საზღვარგარეთ კონცერნის საქმიანობასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, ხელშეკრულებებსა და სხვა გარიგებებს, კონცერნის სახელით იძლევა მინდობილობებს ასეთი გარიგებების დადების შესახებ;

გ. ნიშნავს თანამდებობებზე კონცერნის აპარატისა და მისი ფილიალების მუშაკებს. გადაჰყავს და ითხოვს მათ, ახალისებს წარჩინებულ მუშაკებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იყენებს დისციპლინურ სასჯელებს;

დ. იღებს გადაწყვეტილებებს კონცერნის სახელით ქვეყნისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისადმი პრეტენზიებისა და სარჩელების წარდგენის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. პრეზიდენტს შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა დაავალოს კონცერნის აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს.

37. კონცერნის მიერ დადებულ ხელშეკრულებებსა და გარიგებებს ხელს აწერენ კონცერნის პრეზიდენტი ან მის მიერ უფლებამოსილი პირები.

თამასუქებსა და სხვა ფულად ვალდებულებებს, რომელთაც კონცერნი იძლევა, ხელს აწერენ კონცერნის პრეზიდენტი ან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ბუღალტერი ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

კონცერნის პრეზიდენტი განსაზღვრავს იმ გარიგებათა თანხასა და სახეობებს, რომლებზეც ხელმოწერა წესდების ამ პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად ვიცე-პრეზიდენტების კომპეტენციას განეკუთვნება.

38. კონცერნი აწარმოებს მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამართლებრივ მომსახურებას და ასრულებს საუწყებო საარბიტრაჟო სამუშაოებს.

39. სარევიზიო კომისიას ირჩევს კონცერნის საბჭო თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით ორი წლის ვადით გამგეობის ანგარიშის, სალაროსა და ქონების ყოველწლიური შემოწმებისათვის.

სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ საბჭოსა და გამგეობის წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებსაც კონცერნის აპარატში რაიმე თანამდებობანი უჭირავთ.

სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიშს ამტკიცებს საბჭო.

კონცერნის გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს სარევიზიო კომისია რევიზიის ჩატარებისათვის საჭირო მასალებით.

VI. კონცერნის ქონება

40. კონცერნი ახორციელებს მისთვის გადაცემული იმ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, რომელიც შედგება ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებების, სხვა მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური რესურსებისაგან, თავისი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერნის ქონებას წარმოადგენს მის მიერ შექმნილი საწარმოების ქონება.

41. კონცერნის ქონება იქმნება საბჭოთა მანეთით, უცხოური ვალუტით და კონვერტირებული მანეთით:

შესასვლელი და საწევრო შესატანებისაგან;

საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან;

ბანკის კრედიტებისაგან;

სხვა კანონიერი შემოსავლისაგან.

42. კონცერნის წევრებს არა აქვთ კონცერნის ქონებაზე განკერძოებული საკუთრების უფლება.

კონცერნის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, შეიძლება შეიქმნას საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდი, რომელიც მოხმარდება მეცნიერულ-ტექნიკური, საწარმოო და სოციალური განვითარების კონკრეტულ პრობლემებს.

43. კონცერნის მომსახურებისათვის გადასახდელთა ოდენობა, რომლებიც ხორციელდება როგორც მანეთობით, ასევე უცხოური ვალუტითა და კონვერტირებული მანეთით, განისაზღვრება დამტკიცებული ტარიფებით, ან ასეთი მომსახურებისათვის კონცერნის მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯებით და ხელშეკრულებით კონცერნის სრული თვითანაზღაურების პრინციპის გათვალისწინებით.

VII. აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

44. კონცერნში საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება ხორციელდება მოქმედი წესებით. კონცერნსა და მის ფილიალებში დოკუმენტების ბრუნვის ორგანიზაციას აწესებს კონცერნის გამგეობა.

კონცერნში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დოკუმენტალური რევიზიები ტარდება კონცერნის მიერ სულ დიდი წელიწადში ერთხელ.

45. საოპერაციო წლად ითვლება კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

46. კონცერნის ანგარიშზე შესული ფულადი სახსრები და სავალუტო ანარიცხები სამეურნეო წლის დამლევს ამოღებას არ ექვემდებარება და გადადის მეორე წელში.

47. გადასახდელად უიმედო დავალიანებანი, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და დანაკარგები, შემდგომი სარგებლობისათვის გამოუყენებელი და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობა, აგრეთვე შეწყვეტილი და განუხორციელებელი კაპიტალური სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯები კონცერნის ბალანსიდან ჩამოიწერება კონცერნის გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ სხვა წესს არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. კონცერნის შემოსავლისა და მოგების განაწილება

48. კონცერნის წევრებს, საწარმოებსა და ფილიალებს დამოუკიდებლად შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები დადგენილი ნორმატივების მიხედვით, დაწესებულ ვადებში.

49. კონცერნის წევრებს კონცერნის საწესდებო ფონდში შეაქვთ კონცერნში შესასვლელი შენატანი წლიური მოგების დაგეგმილი თანხიდან, საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით.

50. კონცერნის წევრებს კონცერნის სპეციალურ და სარეზერვო ფონდებში შეაქვთ თანხები ფაქტიური საბალანსო მოგებიდან, საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით და წესით.

51. კონცერნის წევრები, საწარმოები და ფილიალები დამოუკიდებლად ანაწილებენ მათ განკარგულებაში დარჩენილ შემოსავალსა და მოგებას.

IX. კონცერნის საქმიანობის შეწყვეტა

52. კონცერნის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

321 დათო ლაბარტყავას სახელობის სისხლის სისტემის დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის საქველმოქმედო ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს დათო ლაბარტყავას სახელობის სისხლის სისტემის დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის საქველმოქმედო ფონდის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 ნოემბერი, № 696

322 სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 ნოემბერი, № 697

323 სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრისა და ასოციაცია „სამართალი“-ს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო წლების განმავლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მართლმსაჯულებაში თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკის გამოყენებისა და სამართლებრივი კომპიუტერული ცენტრის შესაქმნელად.

უმაღლესი სასამართლოს გამოცდილება ამ მიმართებით მიჩნეულია პრიორიტეტულად, ყველა რესპუბლიკის სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოს დაევალა ამ პროგრესული მეთოდის ათვისება.

ერთიანი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების ღონისძიებათა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძველზე დააარსეს დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი“.

სამართლებრივი ნორმატიული მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნისა და საკანონმდებლო მასალის კოდიფიცირებისათვის ყველაზე ოპტიმალური და მაღალი გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე მეთოდოლოგიის შემუშავებას უზრუნველყოფენ საქციო საზოგადოება „კანონიერება“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კანონი“, რომლებიც, გაუწევენ რა სამართლებრივ მომსახურებას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესებს, სამეწარმეო, კერძო მეწარმულ საინვესტიციო საქმიანობას და სხვა, სისტემატურად შეამოწმებენ ცენტრის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგების პრაქტიკულ ღირებულებას, უზრუნველყოფენ მის ქმედით კორექტირებას.

ზემოაღნიშნულით მომზადებულია წინაპირობები იმისათვის, რომ შეიქმნას სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრი, რომელიც დაეხმარება საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, დეპუტატებს, მთავრობას, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმო-დაწესებულებებსა და მოქალაქეებს საჭირო სამართლებრივი ინფორმაციის ოპერატიულად მიღებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის საინფორმაციო-საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრი.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ დანიშნულებისათვის უმაღლეს სასამართლოს ადრე გამოეყო შტატები და დაარსდა სამართლებრივი ინფორმაციის განყოფილება, რითაც შეიქმნა საფუძველი სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრის ჩამოყალიბებისათვის.

სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრი ჩამოყალიბდეს 35 კაცის შემადგენლობით:

ა) 15 ერთეული — რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმაციის გაუქმებული განყოფილების საშტატო შემადგენლობის ანგარიშზე;

ბ) 20 ერთეული — დამატებითი შტატების ანგარიშზე.

2. დადგინდეს, რომ სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრი:

— მოსამზადებელი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საორგანიზაციო მუშაობის დასრულებისა და ნორმატიულ-საკანონმდებლო საინფორმაციო ფონდის ფორმირების პერიოდში, 1991-1992 წლებში, დაფინანსდება საბიუჯეტო სახსრებიდან;

— უშუალო საწარმოო საქმიანობის დაწყებიდან, 1993 წლის იანვრიდან მუშაობას წარმართავს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსით, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საწყისებზე;

— სხვა პრობლემებთან ერთად დაამუშავებს იმ საკითხებსაც, რომლებზეც მუშაობდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმაციის განყოფილება;

— უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, მთავრობის, სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოების, მოქალაქეების სამართლებრივ-საინფორმაციო მომსახურებას.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— 1993 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოუყოს სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრს 20 საშტატო ერთეული (წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით) და სათანადო სახსრები მათი შენახვისათვის;

— გამოუყოს სამართლებრვი ინფორმაციის ცენტრს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გაანგარიშების შესაბამისად საჭირო თანხები ცენტრალიზებული სამართლებრივი ინფორმაციის სისტემის შესაქმნელად, საპროექტო და კვლევით სამუშაოთა ჩასატარებლად, აუცილებელი გამოთვლითი ტექნიკისა და სხვა საჭირო მოწყობილობის კომპლექტების შესაძენად.

4. სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრის საქმიანობის მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური დონის, მიმდინარე საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-პოლიტიკური პროცესების ეფექტიანი სამართლებრივი მომსახურების, აგრეთვე ბიუროს საინფორმაციო სამართლებრივი ფონდების ჩამოყალიბების ვადების შემცირებისა და მუშაობის სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე წარმართვის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ასოციაცია „სამართალი“.

რეგისტრირებულ იქნეს ასოციაცია „სამართლის“ წესდება.

5. დადგინდეს, რომ ასოციაცია „სამართალი“ მოთავსებულია ძმები ზუბალაშვილების ქუჩის № 32 შენობაში, შენობის მე-4 სართულზე, სადაც ამჟამად მოთავსებულია სამართლებრივი ინფორმაციის განყოფილება, რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გამოთავისუფლებული ფართობიდან სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრს სამუშაოდ გამოეყოს 497,75 კვ. მეტრი საერთო ფართობის ოთახები; შენობის პირველ სართულზე, სადაც ამჟამად განლაგებულია გაერთიანება „საქინფორმსამართალი“, საზოგადოებები კანონიერება და „კანო-

ნი“, რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გამოთავისუფლებული ფართობებიდან გამოეყოს დარგთაშორის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალს“ პირველი სადარბაზოს მარცხენა ფლიგელში 148 კვ. მეტრი, სააქციო საზოგადოება კანონიერება — მარჯვენა ფლიგელში 141,9 კვ. მეტრი, ხოლო საზოგადოება „კანონს“ — მესამე სადარბაზოში 144,1 კვ. მეტრი ფართობი.

დაწესდეს, რომ შენობაში არსებული დარბაზები რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ასოციაცია „სამართლის“ ერთობლივ სარგებლობაშია, პროცესებისაგან თავისუფალ საათებში მათ იყენებს „სამართალი“.

6. დამოუკიდებელი მატერიალური ბაზის შექმნისა და შემდგომი განვითარების მიზნით ნება დაერთოს ასოციაცია „სამართალში“ შემავალ საზოგადოება „კანონს“ პრივატიზაციის წესით შეისყიდოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გამოთავისუფლებული, ამჟამად გამოუყენებელი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩის № 32 სახლის ეზოში განლაგებული 5-ოთახიანი ამორტიზებული ნაგებობა და ჩაატაროს მისი რეკონსტრუქციისა და საძირკვლების გამაგრების სამუშაოები.

საზოგადოება „კანონმა“ აუშენოს საჭირო რაოდენობის ავტომობილების სადგომი რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს აღნიშნულ ნაგებობაში მოთავსებული ავტოსადგომის სანაცვლოდ.

7. რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გადასცეს სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრს ბალანსიდან ბალანსზე კომპიუტერული ტექნიკა და საჭირო ინვენტარი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი ,1990 წ. 9 ნოემბერი, № 699

324 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის № 884 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„დაბეგვრის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის № 884 დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოების სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 ივლისის № 556 დადგენილება.

2. „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში რესპუბლიკაში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 24 ნოემბრის № 596 დადგენილების მესამე პუნქტის მეხუთე აბზაცი.

II. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 დეკემბრის № 863 დადგენილებით დამტკიცებულ „რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშგებისა და ბალანსების წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესსა და ვადებში“ 1-ლი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მესამე და მერვე აბზაცებში, 1-ლი პუნქტის მე-13 ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცში და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „საფინანსო“ შეიცვალოს სიტყვით „საგადასახადო“.

2. 1-ლი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგადასახადო ინსპექციას, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს ან რაიონებისა და ქალაქების იმ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლებსაც უწევენ ისინი ზემდგომი საფინანსო ორგანოს დავალებით საფინანსო კონტროლს, — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით“.

3. 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საგადასახადო ინსპექციას, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით“.

4. 1-ლი პუნქტის მე-10 ქვეპუნქტის მეორე აბზაცში, მე-12 ქვეპუნქტის მესამე აბზაცში, მე-15 ქვეპუნქტის პირველ აბზაცში, მე-16 ქვეპუნქტის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე აბზაცებში სიტყვა „საფინანსოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და საგადასახადო“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

III. „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 აგვისტოს № 568 დადგენილების მე-7 პუნქტის მეოთხე აბზაცის ქვემოდან მესამე სტრიქონში სიტყვა „აშენებენ“ შეიცვალოს სიტყვით „ააშენებენ“, ხოლო ამავე აბზაცის ქვემოდან მეორე სტრიქონში სიტყვა „საფინანსო“ შეიცვალოს სიტყვით „საგადასახადო“.

IV. „ფასწარმოქმნის პრაქტიკაში დამკვიდრებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 22 აპრილის № 193 დადგენილების მე-11 პუნქტის მეექვსე აბზაცში სიტყვა „საფინანსო“ შეიცვალოს სიტყვით „საგადასახადო“.

V. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის № 884 დადგენილებით „ფასწარმოქმნის პრაქტიკაში დამკვიდრებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 იანვრის № 26 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 22 აპრილის № 193 დადგენილებით, 24-ე პუნქტის პირველ აბზაცსა და 27-ე პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვა „საფინანსო“ შეიცვალა სიტყვით „საგადასახადო“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. პაიჭაძე

ქ. თბილისი, 1990 წ. 27 ნოემბერი, № 712

325 სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. კაიჩაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 ნოემბერი, № 715

326 სტატისტიკური ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების ცვლილებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს 1991 წლიდან:

— აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის საოლქო და თბილისის საქალაქო სამმართველოების, სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო განყოფილებების სტატისტიკური ქვედანაყოფების მუშაკებზე — ავტონომიურ რესპუბლიკათა სამინისტროების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი აღმასკომების სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაკებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 29 სექტემბრის № 803 დადგენილებით (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ნოემბრის № 551 დადგენილებით) გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების პირობები;

— ზემოაღნიშნული სტატისტიკური ორგანოების საინფორმაციო-გამოთვლითი წარმოების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სტატსახკომის მთავარი გამოთვლითი ცენტრის მუშაკებზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების პირობები.

2. ამ დადგენილებიდან გამომდინარე საჭირო სახსრები ყოველწლიურად გაიღონ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა (სახსრების ოდენობა 1991 წლისათვის დანართის თანახმად).

3. საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა:

— შესაბამის ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად არა უგვიანეს 1991 წლის 1 ივლისისა შეამციროს მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარჯები არანაკლებ 20 პროცენტით;

— განახორციელოს ღონისძიებანი სისტემის გამოთვლითი ორგანიზაციების რენტაბელური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვიტოს მცირე სიმძლავრის, არარენტაბელური ორგანიზაციების ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 ნოემბერი, № 716

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს 1990 წლის 29 ნოემბრის
№ 716 დადგენილების დანართი

ოდენობანი

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებიდან გამოსაყოფი სახსრებისა სტატისტიკური ინფორმაციის დასამუშავებლად 1991 წელს

ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი, ქალაქები და რაიონები	სულ	მათ შორის სამეურნეო
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	317,0	23,0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	221,5	23,0
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	146,0	20,0
ქალაქები:		
თბილისი	263,0	10,0
ქუთაისი	26,0	1,0
რუსთავი	17,5	1,0
ფოთი	14,5	1,0
გორი	11,5	1,0
ზუგდიდი	13,0	1,0
მარნეული	—	—
ტყიბული	18,5	1,0
წყალტუბო	19,0	1,0
ჭიათურა	13,5	4,0
რაიონები.		
აბაშა	14,5	1,0
ადიგენი	13,0	1,0
ამბროლაური	16,0	1,0
ასპინძა	15,0	1,0
ახალქალაქი	21,5	1,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი, ქალაქები და რაიონები	სულ	მათ შორის სამეურნეო
ახალციხე	18,0	1,0
ახმეტა	13,0	1,0
ბოგდანოვკა	16,0	1,0
ბოლნისი	17,0	1,0
ბორჯომი	21,5	1,0
გარდაბანი	16,5	1,0
გორი	17,5	1,0
გურჯაანი	21,0	1,0
დმანისი	18,0	1,0
დუშეთი	13,0	1,0
ვანი	14,5	1,0
ზესტაფონი	20,5	1,0
ზუგდიდი	18,0	1,0
თელავი	19,0	1,0
თერჯოლა	16,0	1,0
თეთრი წყაროს	18,5	1,0
თიანეთი	16,0	1,0
კასპი	17,5	1,0
ლაგოდეხი	17,5	1,0
ლანჩხუთი	18,5	1,0
ლენტეხი	13,0	1,0
ბაღდათი	16,0	1,0
მარნეული	18,0	1,0
მარტვილი	20,5	1,0
მესტია	12,0	1,0
მცხეთა	19,0	1,0
ონი	13,0	1,0

ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი, ქალაქები და რაიონები	სულ	მათ შორის სამეურნეო
ოზურგეთი	17,0	1.0
საგარეჯო	18,0	1,0
სამტრედია	16,0	1,0
საჩხერე	16,0	1,0
სენაკი	18,0	1,0
სიღნაღი	19,0	1,0
ქარელი	18,0	1,0
ყაზბეგი	11,5	1,0
ყვარელი	20,5	1,0
ჩოხატაური	17,5	1,0
ჩხოროწყუ	20,0	1,0
ცაგერი	14,0	1,0
წალკა	17,0	1,0
წალენჯიხა	15,5	1,0
წითელწყარო	17,5	1,0
ხარაგაული	16,0	1,0
ხაშური	17,0	1,0
ხობი	15,0	1,0
ხონი	13,0	1,0

*) ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოებისათვის გამოყოფილი სადგომების შენახვა, განათება, გათბობა-დასუფთავება, სატელეფონო და საკანცელარიო ხარჯები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

327 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოების — გაზეთების „ახალი საქართველოს“, „სახალხო განათლებისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გატარდეს რეგისტრაციაში გაზეთები „ახალი საქართველო“, „სახალხო განათლება“ და „ზარია ვოსტოკა“ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოები.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გაზეთების გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელში.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გაზეთებისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 30 ნოემბერი, № 718

328 ქალაქ თბილისში გაერთიანებული ერების ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (იუნიდოს) წარმომადგენლობის გახსნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რეგისტრირებულ იქნეს ქ. თბილისში იუნიდოს ხელშემწყობი რესპუბლიკური ცენტრი.

2. დაევალოს აღნიშნული ცენტრის თავმჯდომარეს (გ. ჯავახიშვილი) ჩაატაროს შესაბამისი მოლაპარაკებანი იუნიდოს სამდივნოსთან იუნიდოს ხელშემწყობი რესპუბლიკური ცენტრისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭების შესახებ.

3. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაურიცხოს იუნიდოს ხელშემწყობ რესპუბლიკურ ცენტრს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 28 აგვისტოს № 91/55 გადაწყვეტილების საფუძველზე იუნესკოს კულტურული ცენტრის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი 200 ათასი მანეთი.

4. ნება დაერთოს იუნიდოს ხელშემწყობ რესპუბლიკურ ცენტრს გამოიყენოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროდან გადმორიცხული თანხა 200 ათასი მანეთი წარმომადგენლობის შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად (შენობის არენდა, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო, ინვენტარის შეძენა, მომსახურებისა და აპარატის შესანახი ხარჯები).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 ნოემბერი, № 719

329 საქართველო-ევროპის ფრანგულენოვანი ქვეყნების ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველო-ევროპის ფრანგულენოვანი ქვეყნების ასოციაციის წესდება იმის გათვალისწინებით, რომ მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს სსრ სახმომარაგების კომიტეტი.

საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 1 ნოემბერი, № 673

330 გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ახალი საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას გაზეთ „ახალი საქართველოს“ ბაზაზე გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ახალი საქართველო“.

2. გატარდეს რეგისტრაციაში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო, ხოლო გაზეთი „ახალი საქართველო“, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

3. ახლად შექმნილი გაზეთების გამოცემა განხორციელდეს საბაზო გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადანაწილების საფუძველზე.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გაზეთების გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელში.

5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გაზეთებისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ჯ. კვარაცხელია**

ქ. თბილისი, 1990 წ. 4 დეკემბერი, № 730

331 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის № 495 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის № 495 დადგენილება „ქართველ მაშველთა კორპუსის წესდების რეგისტრაციის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგელაძე**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ჯ. კვარაცხელია**

ქ. თბილისი, 1990 წ. 5 დეკემბერი, № 731

332 გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იქნეს გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ როგორც „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს ბლოკის ორგანო.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს გაზეთის გავრცელება ხელმოწერითა და საცალო ვაჭრობის ქსელში.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გაზეთისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 7 დეკემბერი, № 733

333 საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს კოლეგიის წინადადება და საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ეწოდოს საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 10 დეკემბერი, № 740

ეროვნული ბიბლიოთეკა

334 საბითუმო ფასებისა და ტარიფების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 25 ოქტომბრის № 1080 დადგენილება „საბითუმო ფასებისა და ტარიფების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ“ (თან ერთვის) და ამასთანავე შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 იანვრიდან:

— სახელშეკრულებო ფასების გამოყენების პრაქტიკა რესპუბლიკური ნომენკლატურის საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სამრეწველო პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე), გარდა საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა;

— საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ფიქსირებული ტარიფები გამადიდებელი კოეფიციენტის გამოყენებით, რომლებიც დამტკიცებულია „მრეწველობაში საბითუმო ფასებისა და ტარიფების და ტვირთის გადაზიდვის ტარიფების გადასინჯვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 13 ივლისის № 322 დადგენილების და „საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 10 დეკემბერი, № 742

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

1990 წლის 25 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

საგითუმო ფასებისა და ტარიფების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებულების შესასრულებლად და ინფლაციური პროცესების შეჩერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირების და საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ფიქსირებული საბითუმო ფასებისა და ტარიფების მიხედვით რეალიზებული ნედლეულის, მასალებისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ნუსხა, № 1 დანართის თანახმად.

შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 იანვრიდან ზემოაღნიშნულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) საბითუმო ფასები და ტარიფები, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 14 ივნისის № 741 დადგენილებისა და „საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა გადასახადების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის, აგრეთვე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების შესაბამისად.

იმ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ნომენკლატურას, რომელზეც ფიქსირებულ საბითუმო ფასებსა და ტარიფებს ამტკიცებენ ფასწარმოქმნის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

დანარჩენ სამრეწველო პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გამოიყენება სახელშეკრულებო საბითუმო ფასები და ტარიფები.

საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 1990 წლის 1 დეკემბრამდე დაამთავრონ მუშაობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 14 ივნისის № 741 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული საბითუმო ფასების საფუძველზე სახელშეკრულებო ფასების ფორმირებისათვის.

ფიქსირებულ საბითუმო ფასებზე ნაკლებ ფასებში საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის რეალიზაცია შეუძლია ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას დამოუკიდებლად ან მხარეთა შეთანხმებით.

2. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) სახელშეკრულებო საბითუმო ფასების დაუსაბუთებელი ზრდის თავიდან აცილების მიზნით ასეთი ფასების გამოყენებისას გათვალისწინებულ იქნეს რენტაბელობის ზღვრული დონეები, № 2 დანართის თანახმად.

თუ სახელშეკრულებო ფასები შეესაბამებიან ან ნაკლებია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 14 ივნისის № 741 დადგენილების და „საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა გადასახადების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის, აგრეთვე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების შესაბამისად დამტკიცებული საბითუმო ფასების დონესთან შედარებით, მაშინ რენტაბელობის ზღვრული დონე ასეთი სახელშეკრულებო ფასების მიმართ არ გამოიყენება. რენტაბელობის ზღვრული დონე არ გამოიყენება აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ახალ მაღალეფექტიან პროდუქციაზე სახელშეკრულებო ფასების მიმართ.

სახელშეკრულებო საბითუმო ფასების გადიდების შემთხვევებში, რის შედეგადაც ამ ფასებში რეალიზებული პროდუქციის ფაქტიური რენტაბელობა აღემატება ამ დადგენილების № 2 დანართში დაწესებულ ზღვრულ დონეს, აღნიშნული დონის ზევით მიღებული მოგება ჩაირიცხება თანაბარწილად საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებში.

3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს და 1990 წლის 1 დეკემბრამდე დაუგზავნოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს სახელშეკრულებო ფასების გადიდებისას მიღებული მოგების ამოღების წესი.

4. სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა 1990 წლის 1 დეკემბრამდე დაუგზავნოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მითითებანი სახელშეკრულებო ფასებში რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის თაობაზე ანგარიშგების შედგენის წესის შესახებ.

5. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით 1990 წლის 15 ნოემბრამდე დაამტკიცოს და დაუგზავნოს საქვეუწყებო საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს ქვანახშირისა და ქვანახშირგადამუშავების პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასები.

6. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტრომ მოამზადონ და 10 დღის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საექსპორტოდ მისაწოდებელი ნავთობის ფიქსირებულ საბითუმო ფასებზე დანამატების დაწესების შესახებ.

7. სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყოს, მოყოლებული 1991 წლის 1 იანვრიდან, სისტემატური სტატისტიკური დაკვირვება ქვეყანაში ფასებისა და ტარიფების დინამიკაზე. სსრ კავშირის ფინანსთა სამი-

ნისტროსთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმშენთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ სამუშაოს ორგანიზაციის შესახებ.

8. ფასწარმოქმნის ორგანოებმა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების პირობების შესაბამისად გაფართოონ რეგულირებადი და სახელშეკრულებო ფასების გამოყენების სფერო.

9. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა 1991 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ფასების ახალ სისტემაზე გადასვლის შედეგების შესახებ, მათ შორის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეკონომიკაზე სახელშეკრულებო ფასების გავლენის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. შკაბარდნია**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 25 ოქტომბრის № 1080
დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

1991 წლის 1 იანვრიდან ფიქსირებული საბითუმო ფასებისა და ტარიფების მიხედვით რეალიზებული პროდუქციისა (სამუშაოებისა, მომსახურებისა)

ქვანახშირი. კოქსი და თერმოანთრაციტი. ნავთობი, ბუნებრივი გაზი. ქვაბისა და ძრავის სათბობი, ბენზინი, ნავთი, პარაფინი ცილოვან-ვიტამინიანი კონცენტრატებისათვის. სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა წარმოების ელექტრული და სითბური ენერგია.

სამთო-ქიმიური ნედლეული. მინერალური სასუქები, საკვები საშუალებანი. ორგანული და არაორგანული ქიმიის ძირითადი პროდუქცია.

ფეთქებადი ნივთიერებანი. კაუჩუკი და ლატექსი. ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოები და ძაფები. კორდის ქსოვილები. რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ძირითადი სახეობანი. სატვირთო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სალტეები. სატყეო-ქიმიური და ჰიდროლიზის მრეწველობის ძირითადი პროდუქცია, ტექნიკური ნახშირბადი და მისი ნედლეული.

მოუჭრელი ხე-ტყე, მრგვალი ხე-ტყის მასალები, ძირითადი ტყის ჯიშების დახერხილი მასალები, შპალპროდუქცია, მაღაროს ბიგი, ფანერის, ხის ფილების ძირითადი სახეობანი, ელექტროტექნიკური ქაღალდი და მუყაო.

შავი და ფერადი მეტალურგიის ნედლეული (ფლუსების, ვოლფრამისა და მოლიბდენის კონცენტრატების, მყარდნობადი და ძნელდნობადი პროდუქციის ნახევარფაბრიკატების გარდა). ჯართი და ნარჩენები (ვარგისის გარდა). კვარციტები. ნახევარგამტარი მასალები. ფეროშენადნობთა და ლიგატურის ძირითადი სახეობანი.

ფერადი ლითონები, შენადნობები და ნაგლინი, იშვიათის გარდა. ძვირფასი ლითონები და შენადნობები, ალმასის ნედლეული, ტექნიკური ალმასი, ძვირფასი, ნახევრადძვირფასი, სინთეზური და ხელოვნური ქვები.

თუჯი, ფოლადი, ნაგლინის, მილებისა და ლითონნაკეთობათა ძირითადი სახეობანი. ქარსი და მისი ნაკეთობანი. პიეზოპტიკური მინერალური ნედლეული. ოპტიკური მინის ნამზადი.

სამედიცინო მოწყობილობა.

აგროსამრეწველო კომპლექსის, მსუბუქი მრეწველობის, მრეწველობის მომპოვებელი დარგების, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ტრანსპორტის მანქანათმშენებლობის პროდუქციის ძირითადი სახეობანი და ლითონდამმუშავებელი და ხისდამმუშავებელი მოწყობილობის ცალკეული სახეობანი.

ელექტრონული ელემენტები და რადიოკომპონენტები.

თავდაცვითი დანიშნულების სერიული პროდუქცია.

ტვირთის გადაზიდვა რკინიგზის (გარდა გადაზიდვისა ადგილობრივი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლით და წვრილ გზავნილებად პირდაპირი მიმოსვლით), საზღვაო, საავიაციო ტრანსპორტით.

კავშირგაბმულობის საერთო-საკავშირო მომსახურება.

მსუბუქი ავტომობილები.

რადიო და ელექტროსაქონლის ძირითადი, მასობრივი სახეობანი, გაზისა და ელექტრული ქურები, საკერავი მანქანები სინთეზური სარეცხი საშუალებანი, სასკოლო რვეულები.

მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მასალების ძირითადი სახეობანი.

მასობრივი მოთხოვნილების, სპეციალური შეკვეთისა და დანიშნულების მსუბუქი მრეწველობის საქონელი, ბავშვთათვის განკუთვნილი საქონელი.

მარცვლეული, მზესუმზირა, ჩაი, თამბაქო.

კვების მრეწველობის პროდუქციის ცალკეული სახეობანი.

მედიკამენტების ძირითადი სახეობანი.

შენიშვნები: 1. ამ ნუსხაში შესული ახალი პროდუქციის და ერთეული და ერთჯერადი შეკვეთების მიხედვით დამზადებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიმართ გამოიყენება სახელშეკრულებო ფასები.

2. იმ შემთხვევაში, როცა სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ფასები განისაზღვრება საცალო ფასების დონიდან გამომდინარე, გამოიყენება საანგარიშსწორებო საბითუმო ფასები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. შკაბარდნია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1990 წლის 25 ოქტომბრის № 1080
დადგენილების დანართი № 2

სახალხო მეურნეობის დარგების პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიხედვით რენტაბელობის ზღვრული დონეები 1991 წლისათვის სახელშეკრულებო საბითუმო ფასებისა და ტარიფების გამოყენებისას

(თვითღირებულების პროცენტულად)

მრეწველობა	
ხის დამუშავება, ცელულოზა-ქაღალდის, ნავთობქიმიური და ქიმიური მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, მადნეული და არამადნეული ნედლეულის მოპოვება, თევზჭერა, სამედიცინო მრეწველობა	30
მანქანათმშენებლობა, მეტალურგია და მრეწველობის დანარჩენი დარგები	25
ტრანსპორტი	35
კავშირგაბმულობა, საგამომცემლო საქმიანობა	40
სახალხო მეურნეობის სხვა დარგები (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების, სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების, კომერციული ბანკების, მათ შორის კოოპერაციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების გარდა)	30

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. შკაბარდნია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

335 საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნეს“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნეს“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 დეკემბერი, № 751

336 საქველმოქმედო ფონდის „საქართველო, საქართველო“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქველმოქმედო ფონდის „საქართველო, საქართველო“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 დეკემბერი, № 752

337 რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელი ბინებისა და აგარაკების თვითნებურად დაკავების აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში გახშირდა მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელი ბინებისა და აგარაკების თვითნებურად დაკავების შემთხვევები, რაც დიდ მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს, რომელთა სარგებლობაშიც, კანონის თანახმად უნდა გადასულიყო თვითნებურად დაკავებული ბინები ან აგარაკები.

საცხოვრებელ ბინებსა და ორგანიზაციათა აგარაკებში თვითნებურად შეჭრილ მოქალქეთა იძულებითი წესით გამოსახლება მოითხოვს სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ერთიან ძალისხმევას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, იზიარებს რა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის აზრს, გმობს მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი ბინებისა და ორგანიზაციათა აგარაკების უკანონოდ დაკავების ფქტებს და კატეგორიულად მოითხოვს სამართალდამცველი და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისაგან ამ საკითხში წესრიგის დამყარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი ბინებისა და ორგანიზაციათა აგარაკების უკანონოდ დაკავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები და დააწესოს განსაკუთრებული კონტროლი ბინებიდან და აგარაკებიდან თვითნებურად შეჭრილ მოქალაქეთა იძულებითი წესით გამოსახლების თითოეული ფაქტისადმი.

2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა საცხოვრებელ ბინებში და აგარაკებში თვითნებურად შეჭრილ მოქალაქეთა იძულებით გამოსახლების აქტის აღსრულების დროს ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სასამართლო აღმასრულებლებს ტრანსპორტით, მუშახელით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

3. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ საცხოვრებელ ბინებში და აგარაკებში უკანონოდ შეჭრის ფაქტების დროული გამოვლენა და სათანადო ორგანოებისათვის შესაბამისი შეტყობინება.

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 13 დეკემბერი, № 753

338 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან გაერთიანების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდეს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 12 მაისის № 225 დადგენილება „საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების დარგის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ (გარდა მე-8 პუნქტისა) № 1, № 2, № 3 დანართებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 დეკემბერი, № 755

339 სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეყვანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის სამინისტროს შემადგენლობაში სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 დეკემბერი, № 756

340 გაზეთების „ვრასტანის“, „გურჯისტანის“ და ჟურნალ „ეკონომისტის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გატარდეს რეგისტრაციაში გაზეთები „ვრასტანი“, „გურჯისტანი“ და ჟურნალი „ეკონომისტი“ როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანოები.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული გაზეთებისა და ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გაზეთებისა და ჟურნალისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 14 დეკემბერი, № 757

341 საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე.**

ქ. თბილისი, 1990 წ. 17 დეკემბერი, № 766

342 გაზეთ „ვესტნიკ გრუზიის“ დაარსებისა და რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, აგრეთვე საგაზეთო ქაღალდის დეფიციტის გამო გაზეთების: „ზარია ვოსტოკას“, „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ ბაზაზე დაარსდეს რუსულენოვანი ა2 ფორმატის, 4-გვერდიანი ყოველდღიური გაზეთი „ვესტნიკ გრუზიი“ და რეგისტრირებულ იქნეს იგი როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 30 ნოემბრის № 718 დადგენილება.

3. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს გაზეთის გავრცელება ხელმოწერითა და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გაზეთისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 18 დეკემბერი, № 774

343 სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო და კომუნალური პირობების გაუმჯობესებისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მობინადრეთა სახსრების ხარჯზე მიშენების ნებართვის შესახებ.

საცხოვრებელ სახლებზე მიშენების პრაქტიკამ რესპუბლიკის ქალაქებში, განსაკუთრებით კი ქ. თბილისში, ფართო ხასიათი მიიღო, თუმცა გამოვლინდა მისი უარყოფითი მხარეებიც. ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ ამ მხრივ რესპუბლიკის ქალაქებში და, პირველ რიგში, ქალაქ თბილისში შექმნილია არანორმალური მდგომარეობა და იგი სტიქიური და უმართავი ხდება. გამოვლინდა უნებართვო და უპროექტო მშენებლობის ან პროექტების დარღ-

ვევით მშენებლობის მრავალი ფაქტი, რის შედეგადაც დამახინჯდა საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა და შესაბამისად, ქალაქების საცხოვრებელი რაიონების არქიტექტურულ-ესთეტიკური იერსახე; მიშენებათა კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში არასაიმედოა და მათი გამოყენებით შესუსტებულია თვით შენობების მდგრადობაც, რაც რესპუბლიკის ტერიტორიის მაღალ სეისმურობასთან დაკავშირებით გაზრდილ საშიშროებას ქმნის; მიშენების პარამეტრების უნებართვო გაზრდა მნიშვნელოვნად აუარესებს საცხოვრებელი სახლების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას; გართულებულია გარე საინჟინრო კომუნიკაციების ექსპლუატაცია; რიგ შემთხვევაში უარესდება საცხოვრებელი რაიონების ეკოლოგიური პირობებიც.

მიუხედავად იმისა, რომ საქსახარქიტექტურისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ჩატარებულია რიგი ღონისძიებანი შექმნილი სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, გამოვლენილია დარღვევათა მრავალი ფაქტი, მიღებულია დადგენილებები და დასახულია ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ, ტარდება ახსნა-განმარტებითი სამუშაოები პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, მდგომარეობა ამ საკითხში მაინც სავალალოა. რესპუბლიკის ქალაქებში და, პირველ რიგში ქ. თბილისში შექმნილია სიტუაცია, როდესაც არ არის გამორიცხული საინჟინრო თვალსაზრისით გაუმართლებელი მიშენებისა და თვით საცხოვრებელი სახლების დანგრევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი.

სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მობინადრეთა სახსრების ხარჯზე მიშენების საკითხის მოსაწესრიგებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ჩაითვალოს არასაკმარისად საქალაქო (სარაიონო) საბჭოს აღმასკომების და მათდამი დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობა დადგენილი წესის თანახმად სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მობინადრეთა ხარჯზე მიშენების საკითხების განხილვის და ნებართვების გაცემის, პროექტების დამუშავების, მათი შეთანხმებების და რეალიზაციის კონტროლის საქმეში.

2. საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა, კერძოდ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა 1990 წლის ბოლომდე წარუდგინოს საქსახარქიტექტურას დროებითი რეკომენდაციები საცხოვრებელ სახლებზე მიშენების პროექტების შესადგენად შენობათა სეისმომედეგობის მიმართ წაყენებული მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქსახარქიტექტურამ ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს ამ რეკომენდაციების განხილვა, დამტკიცება და საპროექტო ორგანიზაციებისათვის დაგზავნა;

ბ) საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების თბილისის ზონალურმა ინსტიტუტმა და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკი-

სა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა საქსახარქიტექტურის დაკვეთით 1991 წლის I კვარტალის ბოლომდე დროებითი რეკომენდაციების საფუძველზე დაამუშაონ საცხოვრებელ სახლებზე მიშენების პროექტების შესადგენად რესპუბლიკური სამშენებლო ნორმატივები და ამ მიშენების განხორციელების ტიპობრივი ეტალონური გადაწყვეტის ალბომი.

ამ ნორმატიულ დოკუმენტში აისახოს მიშენების დაპროექტებისა და მშენებლობის წარმოების წესები, რომლებსაც საფუძვლად დაედება საქართველოს რესპუბლიკის სახმშენის, საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1989 წლის იანვარში დამტკიცებული შესაბამისი დებულება.

საქსახარქიტექტურამ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტაციის განხილვა, დამტკიცება და დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის დაგზავნა.

გ) საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა, „თბილზნიიეპმა“, „თბილქალაქპროექტმა“ და „საქქალაქმშენსახპროექტმა“ შექმნან მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სრულ თვითანაზღაურებაზე მყოფი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების დავალებით შეისწავლიან მშენებლობის პროცესში არსებულ მიშენებათა პროექტებს, მათი რეალიზაციის ფაქტობრივ მდგომარეობას და მოამზადებენ სათანადო ტექნიკურ დასკვნებს დარღვევათა სალიკვიდაციოდ. სასამართლო წესით გადაწყდეს აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისა და დარღვევათა სალიკვიდაციოდ საჭირო ხარჯების გაწევა იმ ორგანიზაციათა და ცალკეულ პირთა მიერ, რომელთა არასწორმა ქმედებამაც განაპირობა ეს დარღვევები.

3. დაევალოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— დააწესონ მკაცრი კონტროლი დამტკიცებული დებულების მოთხოვნების დაცვისადმი მიშენებებზე ნებართვების გაცემის, მათი დაპროექტების და მშენებლობის პროცესში;

— დაუყოვნებლივ შეაჩერონ იმ საცხოვრებელ სახლებზე მიშენების სამუშაოები, რომლებზედაც უკვე გამოვლენილია ან მიმდინარე შემოწმების დროს გამოვლინდება დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტიდან გადახვევის ფაქტები მეორე პუნქტში ჩამოთვლილი სამუშაო ჯგუფების მიერ მშენებლობის რეალიზაციის ფაქტიური მდგომარეობის შესწავლისა და დარღვევათა სალიკვიდაციოდ ტექნიკური დასკვნების წარმოდგენამდე. მშენებლობის გაგრძელება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ტექნიკური დასკვნებიდან გამომდინარე ღონისძიებათა შესრულების შემთხვევაში;

— სათანადოდ დამტკიცებული პროექტის გარეშე, პროექტის დარღვევით ან ძირითადი სამშენებლო ნორმების მოთხოვნათა უგულებელყოფით საზაფ-

ხულო და სხვა დამხმარე სათავსების მოწყობის ყოველი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენონ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით ვათვალისწინებული სანქციები;

— განიხილონ აღნიშნულ დარღვევათა ყველა კონკრეტული შემთხვევა და განახორციელონ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებანი იმ სამსახურების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და დაუშვეს უპროექტო, თვითნებური და პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობები;

— არ დაუშვან თავიანთ სამოქმედო ზონაში მშენებლების მიერ მიშენების განხორციელების არც ერთი ფაქტი, თუ მათ დადგენილი წესით არა აქვთ გაფორმებული ამ სფეროში შრომითი საქმიანობის ნებართვა. მათ მიმართ გამოიყენონ შესაბამისი საჯარიმო სანქციები;

— დააწესონ მკაცრი კონტროლი მიშენების დროს მატერიალური რესურსების (ცემენტი, ლითონი) გამოყენებისადმი, არ დაუშვან მშენებლობის განხორციელება მათი შესყიდვის კანონიერების დამადასტურებელი საბუთების გარეშე;

— განიხილონ სამშენებლო და საპროექტო კოოპერატივების საკითხი, რომლებმაც დაუშვეს უპროექტო, თვითნებური და პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობები ან უხარისხო პროექტების დამუშავება, და მიიღონ მკაცრი გადაწყვეტილებანი მათი პასუხისმგებლობის გამო;

— არ დაუშვან მიშენების სამუშაოთა დაწყება დადგენილი წესით შეთანხმებული პროექტისა და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის მიერ მშენებლობის დაწყებაზე სათანადო ნებართვის გარეშე;

— საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების გათვალისწინებით საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისათვის შექმნან სახლის მობინადრეთა ამხანაგობები, რომელთა გამგეობებს დაეკისრებათ დამკვეთის ფუნქციები მიშენების დაპროექტების, პროექტების შეთანხმებისა და მათი რეალიზაციის პროცესში;

— გაზარდონ მომთხოვნელობა შინაგან საქმეთა სამმართველოების მიმართ, რათა მათ ისე გარდაქმნან მუშაობის სტილი, რომ უცილოდ გამორიცხულ იქნეს უპროექტო, თვითნებური, პროექტის დარღვევით, აგრეთვე კანონის დარღვევით შეძენილი საშენი მასალით და შემთხვევითი მშენებლების საშუალებით მიშენების განხორციელების ფაქტები.

4. დაევალოს სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს და სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსოთა მიშენების ამხანაგობებს მოემსახურონ ანგარიშსწორების დროს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობებისათვის დადგენილი წესით.

5. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში „ახალ საქართველოსა“ და „ზარია ვოსტოკაში“, გადაიცეს ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 19 დეკემბერი, № 776

344 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს რესპუბლიკურ-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“.

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ოქტომბრის № 545 და 1990 წლის 19 დეკემბრის № 783 დადგენილებები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 26 დეკემბერი, № 794

345 ჟურნალ „პოლიტიკის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“ შეეცვალოს სახელი, ეწოდოს მას ჟურნალი „პოლიტიკა“ და ბეჭდვითი სიტყვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გატარდეს რეგისტრაციაში როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჟურნალი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 27 დეკემბერი, № 802

346 გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის თანამშრომელთა აზრის გათვალისწინებით გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ გატარდეს რეგისტრაციაში, როგორც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 27 დეკემბერი, № 803

347 საქართველოს ჰომეოპატთა საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ჰომეოპატთა საზოგადოების წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 27 დეკემბერი, № 805

348 სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 27 დეკემბერი, № 806

ეროვნული ბიბლიოთეკა

349 სრულიად საქართველოს შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნების“ წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნების“ წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 28 დეკემბერი, № 814

350 მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდთან არსებული სამრეწველო-აგრარულ-კომერციული ასოციაციის „თბილისი-90“-ის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდთან არსებული სამრეწველო-აგრარულ-კომერციული ასოციაცია „თბილისი-90-ის“ თანდართული წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 28 დეკემბერი, № 816

351 გაზეთ „სარანგის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულ იქნეს სრულიად *საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების* საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „სარანგი“.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო *ვაჭრობის ქსელის* საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 28 დეკემბერი, № 817

352 დამოუკიდებელი „ქალთა გაზეთის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და რეგისტრაციაში გატარდეს დამოუკიდებელი „ქალთა გაზეთი“ (პერიოდულობა — თვეში ერთხელ, მოცულობა — 16 გვერდი, ტირაჟი — 30000 ეგზემპლარი).

2. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს აღნიშნული გაზეთის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გაზეთისათვის საჭირო ქაღალდის გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 დეკემბერი, № 818

ეროვნული ბიბლიოთეკა

353 გაზეთ „ცხოვრების“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება ცენტრალური კომიტეტის გაზეთის „ახალი საქართველოს“ ნაცვლად ცენტრალური კომიტეტის გაზეთის „ცხოვრების“ რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გაზეთ „ცხოვრების“ უზრუნველყოფამდე მისი გამოცემა განხორციელდეს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ბაზაზე.

2. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 4 დეკემბრის № 730 დადგენილების მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ახალი საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1990 წ. 29 დეკემბერი, № 819

ინდექსი 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 6, 1990 წელი

გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-91 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 6,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 467 ტირაჟი 1900

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა